

გურამ ბათიაშვილი

გურჯი სათუნები

პიესა 2 მოქმედებად

მოქმედი პირნი

ნინიკო

თინა

მაია

ვახო – 30 – 32 წლის

პოლიციელი – 55 – 60 წლის

ნური – 60 – 65 წლის

ფრიდონი – 32 – 35 წლის

ნიჰალი – 37 – 40 წლის

თავდამსხმელი

აზიზი

რეჟისორი

ასისტენტის ხმა. ყველა ადგილზეა? ვიწყებთ. ხო, მოიცათ, მოიცათ! გოგოებო, ის ქალბატონია მოსული, ხვდებით, ხომ ვიხეც ვლაპარაკობ, ხომ იცით, რა ტიპია! ნახეთ, რა.. არ გაახუროს, რა ვიცი, მე მაინც გითხარით...აბა, ვიწყებთ, შეიყვანეთ მუსიკა!

ხმა. მუსიკა არ არის!

ასისტენტის ხმა. ხო, ვიცი, ვიცი. ხმაური ხომ არის. შევიდეს ხმაური! ფარდა!

სასტუმრო ზღვისპირას დგას. გვესმის ტალღების ხმა. ტალღები მშვიდად მოისწრაფიან ნაპირისაკენ და მასთან მოახლოებისას ისე უხმაუროდ, შრიალით იშლებიან ქვიშაში, გეგონებათ, აქეთ იმიტომ მოიჩქაროდნენ, რომ სანაპიროს კენჭებს მოალერსებოდნენო.

გვიანი შემოდგომის მზიანი დილაა. დაღლილი მზის სხივები უღიმღამოდ იფანტება სასტუმროს ნომერში.

აბაზანიდან წყლის ჩხრიალი გვესმის. მეზობელი ოთახიდან ვიღაც გავიდა და კარი ისე ძლიერ გაიჯახუნა, რომ პაწია მაგიდაზე ჭიქები ერთმანეთს მიეხალა.

თინა (ლოგინში). კარგით რა, ნამუსი არა გაქვთ! (გადაბრუნდება და ისევ ძილს მისცემს თავს).

მაია (აბაზანიდან გამოდის, ხალათს იკრავს. აივანზე გამავალ კარს გამოაღებს. ოთახში ტალღების ხმა შემოიჭრება--ტალღები რიტმულად მოისწრაფიან ნაპირისაკენ. მაგიდიდან რამდენიმე ფურცელს აიღებს, თვალს გადაავლებს და კითხულობს მონოლოგს ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატიდან“) „იცოცხლე, რა მოხდა შენს შემდეგ? ნადირად ქცეული მაჰმადიანნი მუმღივით მიესივნენ ჩვენს სიმაგრეს. ვხედავ, ანანია გლახა მოფოფხავს...“

მუეძინის ხმა. აალაჰუ აკბარ... აალაჰუ აკბარ!

მაია (შეკრთება). ვაი!

მუეძინის ხმა (კიდევ უფრო ხმამაღლა). აალაჰუ აკბარ! აალაჰუ აკბარ!

ელოდება მუეძინი ხალხს კვლავ როდის მოუწოდებს ლოცვისაკენ. ამაოდ.

მაია (მონოლოგს განაგრძობს). „დიდებული საქმე მოხდა იმ ღამეს, ოთარბეგ, დიდებული! როგორც სვეტი ნათლისა, ისე მინათებს ის ამბავი მთელი სიცოცხლის“

მანძილზე. მაშინლა მივხვდი, თუ როგორ უნდა იცხოვროს კაცმა ადამიანად (შედგება, არ მოსწონს კითხვის მანერა.) გააფრენს ეს მონოლოგი რომ ასე ვთქვა, გააფრენს: იდიოტო, ყვეეჩო, ბატო, იყვირებს. (გაირინდება. ფიქრობს, შინაგან მობილიზებას ცდილობს და უფრო გააზრებულად იწყებს მონოლოგის კითხვას). „მაშინლა მივხვდი, თუ როგორ უნდა იცხოვროს კაცმა ადამიანად. მოცოცდა ანანია გლახა და მითხრა (კვლავ შედგება, ნათქვამს გონების თვალს გადაავლებს, როგორც ჩანს, მოსწონს. განაგრძობს.) „მოცოცდა ანანია გლახა და მითხრა: მაჰმადიანნი შენს შვილს ეძებენ, ყველაზე მეტად იმისი ეშინიათ, აქეთ მომეცი შენი

4.

შვილი და მაშინ მოგგვრი, როცა დრო დადგება. დაე, ჩემი შვილი მოკვდეს მაგის მაგიერო. გამომართვა ჩვილი და გაქრა. ხოლო როცა ოთახში მტარვალნი შემოცვივდნენ, ხელში ანანიას შვილი მეჭირა. მოლალატე თავადიშვილებმა ორივე გამოგვათრიეს სასახლიდან, დედოფლად მომრთეს, ხელში ოქროს სინი მომაჩეჩეს, ზედ უკვე აღებული ციხის გასაღები დასდეს, გარეთ გამომიყვანეს და მტვერში დამაჩოქეს. (ხელგაწვდილი დაიჩოქებს და ლამის ცრემლმორეული შესძახებს.) მერე ის საცოდავი ბავშვი“...

თინა (თავს წამოსწევს). ერთი მაგ შენი თავადიშვილების და მათი მეზობელ-ნათესავებისაც, რა გააწყალე, ქალო, გული!

მაია (თინას ყურადღებას არ აქცევს, ზეინაბის ტექსტს განაგრძობს). „მერე ის საცოდავი ბავშვი შებოჭეს და ჩემს წინ დააგდეს. მობრძანდა გამარჯვებით მთვრალი, ცხენზე ამხედრებული სოლეიმან ხანი“...

თინა. შენ თუ არ გეძინება, მე რას მერჩი?!

მაია. „დახედა ბავშვს და... ცხენმა შიგ გულში ჩასცა ფეხი. ო, როგორ შესწივლა საცოდავმა, შესწივლა უკანასკნელად!“ (სახეზე ხელებს აიფარებს).

თინა (ლოგინზე გადაკოტრილდება). მორჩა? იქნება, ახლა მაინც დამაძინო!

მაია. არ ვარგა?

თინა. შენ ხარ დედოფალი? შენ საქართველოს დედოფალი ხარ?

მაია. მითხარი რა, სიმართლე მითხარი—არ ვარგა?

თინა. იცი, რა კარგი იყავი?! ძილში ჩამესმა და ჟრუანტელმა დამიარა.

მაია. არ შემაგინებს?

თინა. ვინა, ვინ უნდა შეგაგინოს, ქალო, გლიჯავდი!

მაია. რეჟისორმა. ამ თვის ბოლოს პრემიერაა. უნდა წავიდე-მეთქი, რომ ვუთხარი, გააფრინა.

თინა. ახალგაზრდაა?

მაია (როლის ტექსტს ჩასცქერის). „დედოფლად მომრთეს, ხელში ოქროს სინი მომაჩეჩეს“ (თინას.) რა თქვი, თიკუშვი?

თინა. ეგეთები უნდა აიყვანო! უფროსი მიხურებდა. სული ამომხადა იცი, რა დღეში ჩავაგდე? მთელი ჩვენი ლაბორატორიის თანამშრომლები ქუთაისში ვიყავით ექსკურსიაზე. სალამოს პურ-მარილი რომ გაშალეს, ნუ სვამთ, გული ცუდად გაგიხდებათ-მეთქი, შევუჩნდი. ძალიანაც კარგად ვარო, იქაჩებოდა, მერე ნომერში

შევეყვი. თქვენი ფერი არ მომწონს-მეთქი. ფერიც კარგი მაქვს და ჯანიცო, ბრაზუნობდა. ამასობაში ავუჩუჩუნე და მორჩა!

მაია (სიცილით). მოეწონა?

თინა. ბებიამისისამ არ მოეწონებოდა! ასოცკილოიანი ცოლი ჰყავს!

მაია (იციინის). მაგრად შეგობია!

თინა. ჯერ სადა ხარ! გათენებისას ტირილი დავიწყე, ჩემი ქალწულობა ნასვამ კაცს როგორ ჩავაბარე, ან მშობლებს რა ვუთხრა, ან მეგობრებს-მეთქი.

მაია. რა დაუნდობელი ხარ!

თინა. სხვა რა გზა მქონდა, ვერაფრით ვერ მოვტეხე რქები!

მაია (ამ ამბავმა სასაცილო გუნებაზე დააყენა). მერე, მერე?!

თინა მერე რა, საქმე ბოლომდე ხომ უნდა მიმეყვანა! ერთ თვეში გამოვუცხადე, ფეხმძიმედ ვარ-მეთქი

მაია. გააფრენდა!

თინა. გააფრინა რომელია! დაიწყო ზახოდები რესტორნებით, საჩუქრების მორთმევით, აბორტი გაიკეთეო... (აკაკუნებენ.) ჩუ! (პაუზა.) მეზობელთან მოვიდნენ. გამაგიჟებს ეს ტანიაა, თუ ვიღაც!

მაია. ქალო, ახლახან არ გაისტუმრა? რა მაგარი ვინმეა!

მუეძინის ხმა. აალაჰუ აკბარ!

თინა (პირჯვარს იწერს). რამდენს ლოცულობენ! ლოცვის, ვაჭრობის და (ნინიკოზე ანიშნებს) ამას რომ უყვარს, იმის მეტს არაფერს აკეთებენ!

ნინიკო (ლოგინიდან). შენ აქ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერს ეძებ?

თინა. გაულვიძნია!

მაია. ოჰ, სალამ ალეიქუმ, გურჯი ხათუნ!

ნინიკო (ლოგინიდან თავს წამოსწევს, იზმორება). კარგით რა, ნამუსი არა გაქვთ?

მაია როგორ იგრიალეთ, ნინიკო ხანუმ, როგორა ხართ?

თინა. ყველაფერი ხომ სრულად მიიღეთ?!

ნინიკო (ამთქნარებს). თქვენ შიგა გაქვთ, აი!!

მაია. დედა, დედა, რა ესმის ჩემს ყურებს! სულ გაფუჭდა ეს გოგო!

ნინიკო არ გებრალებით. ექვს საათზე მოვედი და ისე დავწექი, არცერთს არ გაგივიათ, თქვენ კი რამდენს ქაქანებთ!

თინა. რა დროა, თუ იცი? ათი ხდება. საუზმეზე ჩავიდეთ, თორემ მშიერი დავრჩებით.

ნინიკო. ერთი მაგათი საუზმეც! ერბო-კვერცხი, ჩაი, ერბო-კვერცხი, ჩაი! მალე კვერცხის დებას დავიწყებ და წიწილებსაც გამოვჩეკავ. კა-კა-კა-კა-კა!

მაია. შენ გეტყობა, ძალიან სპაკონინი ღამე გქონდა.

ნინიკო. სპაკონინი კი არა... გიჟი იყო ქალო, ნაღდი გიჟი! ქალი არ უნახავს იმ შობელძალს?

თინა. მთავარია, ჟმოტი ხო არ გამოდგა?

ნინიკო. ვახოს დედა უნდა ვუტიროთ, გოგოებო! (ისევ ამთქნარებს). ვაიმე, მეძინება! ვახო აფერისტია!

თინა. ვახოსგან რა გინდა?

ნინიკო. ეგ მუტრუკი ერთი გემრიელად მაჟეჟინა და...

თინა (ალერსიანი, გაფრთხილების ინტონაციით). ნინიკო ხანუმ! ვახოს შეეშვი!

ნინიკო. იცით, ჩვენით რა მაყუთს ღუნავს?

თინა. შენ კიდევ გრიალებ და მაყუთსაც ღუნავ!

ნინიკო. მთელი ღამე არ მომასვენა, ცოფიანივით იყო შობელძალი! რომ ვუთხარი, დამასვენე-მეთქი, იცი, რა იკისრა? ქალაღზე ასიანი დამიწერა. ასი დოლარი ტყუილად ხო არ გადავიხადეო.

მაია. ასი დოლარი?!

ნინიკო. აბა?! შენ რა გგონია! შენს კაცს ნაკლებს წაართმევდა?

მაია (თითქმის ოცნებით). ასი დოლარი? რა გამოდის? ხუთი კაცი—ხუთასი... ერთ საღამოს ხუთასი დოლარი?!

ნინიკო. ეს მხოლოდ ჩემგან...შენგან, ამისაგან...ჩვენ კიდევ რას გვაძლევს? ლარებს! ვაი, ლარსა უი ლარსა, ქვეშ რომ გაუწვა დოლარსა!

6.

თინა. საჩუქრები? ჩვენ რომ საჩუქრებს ვიღებთ!

ნინიკო. საჩუქრებს ისინი იძლევიან, ვახო ხო არა!

თინა (სწადია, საუბრის თემა შეცვალოს). რა გაჩვენოთ, გოგოებო, დაიბრიდებით! (საწოლის ქვემოდან ჩანთას გამოაცურებს, ჩანთიდან ღამის პერანგს ამოიღებს). ჰა, რას იტყვით?

მაია. გლიჯავ! სადაურია?

თინა. მეიდ ინ ფარცხანაყანებიარ გეგონოს,! ამერიკაა, ნაღდი ამერიკა, შეხედე!

მაია. რა იღბალი გაქვს!

თინა. ამას, გენაცვალე, იღბალი კი არა, საქმის ცოდნა უნდა!

ნინიკო. მაგ ღამის პერანგით რომელმა დაგთხარა თვალები?

თინა. გუშინდელმა შოფერმა..

მაია. შოფერი ხომ გუშინწინდელი იყო!

თინა. გუშინწინდელი ელექტრიკი იყო.

მაია. მაგან იჟმოტა, არა?!

თინა. რატომ, „ბასანოჟკები“ არ მომცა?

ნინიკო. თბილისში რომ დაბრუნდები, ერთ პადვალში მაღაზია გახსენი და დააწერე „იაფი საქონელი თურქეთიდან“. დღეს ღამის პერანგს ვინ იცმევს, აგრაფინა პიმენოვას გარდა. ან „ბასანოჟკები“ ვის უნდა--ყველას აშვერილი აქვს ფეხები.

თინა გამოდის, შენ არაფერი გაჩუქა!

ნინიკო. ეგლა მაკლდა!...

თინა. ჰა!

მაია. გვადირსე!

ნინიკო. ჩვენ მაგის ჩიტები ვართ! (იზმორება). ქალის საჩუქარი თვითონ იყო—ასე სად შეისწავლა ქალი! მართალია, არ მომასვენა, მაგრამ...!

თინა. დაგლიჯა?

ნინიკო. დაგლიჯა რომელია!

მაია. ასეთი რა გიქნა, ქალო!

ნინიკო. ერთ ღამეს ამდენი სიამოვნება არ შეიძლება, მეტისმეტია!

თინა. შენ კიდევ ვახოზე ახურობ, ეგრე და ეგრეო! ვახოს იქით უნდა მისცე ფული!

ნინიკო. ვახოსთან სხვა საქმე მაქვს. მაგრამ ეგეთი გემრიელი? არა, ძალიან მაგარი ვინმეა! მაგან უნდა თქვას: რასაც ვაკეთებ, ლაზათიანად ვაკეთებო. ნამუსი რომ იყოს, იქით უნდა ჩუქნიდე!

თინა. მერე მიეცი ეგ ვახოს მოცემული ლარები!

მაია. გვაჩვენე, რა გაჩუქა!

ნინიკო. გაჩვენოთ, რომ გულები რომ დაგისკდეთ?

თინა. ამოიღე, ქალო!

მაია. ამოიღე, თორემ იმ თათარს ამოვალებინებთ და ისევ მოგდგება.

ნინიკო (სიხარულით შესძახებს). იეს იეს, გატოვი ვარ!

მაია. მაშინ ვახოს მოგიჩინო!

ნინიკო. ფუი!

თინა. რას ჩააცივდი ამ ვახოს, რა გინდა იმ ბიჭისაგან!

ნინიკო. იმის მერე ვახოს ხსენება? (ჩანთა მასაც საწოლის ქვეშ მოუქცევია.

7.

გამოაცურებს. ნელა, ხაზგასმული აუჩქარებლობით ამოაქვს ბრჭყვიალა ქალაღში გახვეული საგანი).

მაია. რა ჰქვია?

ნინიკო. ვისა?

მაია. შენს თათარს.

ნინიკო. მე რა ვიცი, რა ჰქვია, პასპორტისტკა ხო არა ვარ! (მაიას და თინას ინტერესი რომ კიდევ უფრო გააძლიეროს, შეხვეულის გახსნას აყოვნებს).

თინა. გვალირსე ახლა!

მაია (შეხვეულს ხელიდან გამოსტაცებს, უცებ გახსნის. გამოჩნდება ფერად-ფერადი ქვებით შემკული მაღალყელიანი ჩექმა). ამას რას ხედავს, ჩემი შურით სავსე თვალები, მიშველეთ!

თინა (გაოცებული). რა არის ეს, ქალო, ასეთი რა უქენი იმ კაცს! (გაბადრული ნინიკო კმაყოფილი შესცქერის მაიას და თინას). ასე როგორ შეაყვარე თავი!

მაია. იქნებ, ვაბშე არ უნახავს ქალი და ამან გადარია?!

თინა. ნაღდად ეგრეა!

ნინიკო. ჰა, დაიწყეთ ბოღმების დაყრა?!

თინა. შენ კიდევ ვახოზე ახურობ. ეს იცი, რა ღირს?

მაია. ვაჰ, ჩემი იღბალი...

ნინიკო. რა დაიბოღმეთ, ქალმა თავისი ხელობა უნდა იცოდეს!

მაია. ასეთი რა იცი, იქნება, გვასწავლო!

ნინიკო (მაიას). ჯერ ბავშვი ხარ, გაიზრდები და ისწავლი!

მაია. მე ახლა მიჭირს, ახლა მჭირდება ყველაფერი.

ნინიკო. რა გჭირდება? ასეთი რა გჭირდება?

მაია. ფული!

ნინიკო. აი, ტიპი, ერთი მაჩვენე ადამიანი, ვისაც ფული არ ჭირდება!

მაია. არა ნიი, ჩემი საქმე სხვანაირადაა.

ნინიკო (ჩექმაზე). თბილისში რამდენი უნდა?!

მაია. თბილისის ბაზრობაზე ამის მყიდველი არ შემოდის. ეს ვაკეში უნდა მიიტანო!

თინა. ბიჭმა რა ბედს გწია-- სად წამოგიყვანა და შენ კიდევ რა ამბავში ხარ!

ნინიკო. ვახო პაღონოკია!

თინა. ფულის გულისთვის ჩვენს ბიჭებს ნუ შედგები!

მაია (სევდით). ვითომ ამ თათრების წინწაჭრილი...

ნინიკო. თათრების კი არა, თურქების!

მაია. სულერთი არ არის? ვითომ ამ თურქების წინწაჭრილი ჭუჭუ...

ნინიკო. ჭუჭუ კი არა, მეფე-ბატონი! თუ ნაღია, მეფე-ბატონია, თუ არადა...

მაია. ალიას ან ნურიეს წინწაჭრილი მეფე-ბატონი, რით სჯობია ზურიკოს, თუ დათუნას მეფე-ბატონს?

თინა. გამაგიჟებს ეს ქალი! შენ აქ მეფე-ბატონის გულისთვის ჩამოხვედი?

მაია. რას ამბობ, მეფე-ბატონისათვის მცხეთაშიც არ წავალ!

ნინიკო. თქვენც იტყვიან ქალები ვართო! თუ ნაღია მეფე-ბატონი არ შეგხვედრიათ, სექსის გემოც არ გცოდნიათ და მეცოდებით!

თინა. სექსის პროფესორს გაუმარჯოს!

მაია. თქვენ რაც გინდათ, ისა თქვით, მე ჩვენი ბიჭებისა მირჩევნია.

8.

თინა. შენ გენაცვალე, ეროვნული სულისკვეთების სიძვის დიაცო, შენა!

მაია (იციინის). შენს ხალხს უნდა ემსახურებოდე.

ნინიკო. ახურებთ და რას ახურებთ! რა შუაშია ჩვენი ბიჭები და იმათი ბიჭები! მთავარია მეფე-ბატონი ვარგოდეს, თორემ სხვას რა ჭკუა აქვს!

მაია. ჩვენი მაინც ჩვენია, ნიიკო!

ნინიკო. ჩვენი ბიჭები წაგიყვანენ, ბრეჩით გულს შეგიჭამენ, მერე, ქვეყანას მოსდებენ, ჩემია და ხელი არავინ დააკაროსო, თვითონ გადაიკარგებიან! (ცხარდება). ისე დაიკარგებიან, იმათ ასავალ-დასავალს ვერ პოულობ, ამასობაში ისიც გავიწყდება, რა როგორ იყო, კაცი გენატრება, ქალო, კაცი!

თინა. ჰო, კარგი ახლა, იმას ხო იცი რაც მოუვიდა!

ნინიკო. მერე ვისი ბრალდია, რომ მოუვიდა? ისნის ბაზრობსა და კარფურის საწყობების მეტი აღარაფერი უნდოდა! იქაურობას არ შორდებოდა. კვირაში ორჯერ მაინც არ უნდა გავხსენებოდი? კვირაში ორჯერ მაინც!

თინა (საყვედურით). ნიი, იმას დაანებე თავი! ის ისანსა და კარფურის საწყობებში იმისთვის დარბოდა, რისთვისაც შენ აქ ჩამოდიხარ.

ნინიკო. ნუ გაახურე! მე არ მწამს რომ გაიძახიან, ქალმა გაჭირვების გამო დაიწყო მიცემად, თუ სულში არა გაქვს, ვერაფერსაც ვერ დაიწყებ, რაც არ უნდა გიჭირდეს.

მაია. რას ამბობ, ნიი, ეგრე არ არი!

ნინიკო. ვერ გაძღა და იმიტომ დარბოდა. სულზე ვიფარებთ ლელვის ფოთოლს, სულზე! ბერძნებმა ლელვის ფოთოლი იმიტომ კი არ მიიფარეს, რომ ასოს მაღავდნენ, ყველამ იცის იმ ადგილას რაც არის-- გვითხრეს, მთავარი ეს არისო. თინა. ჩუ! რა ხდება?

მეზობელი ოთახიდან ქალის კრუსუნი მკაფიოდ ისმის.

ნინიკო. აუ, რას უბერავენ!

თინა (ხმადაბლა). ეს ტანია რა მაგარია, ქალო, რამდენს უძლებს!

მაია ეტყობა, ციმბირში კარგად ავარჯიშეს. (ისმის თანია კრუსუნი)

თინა. თამაშობს, ახლა თავდავიწყებას თამაშობს. ჰკონია, თათარს გააგიჟებს.

მაია. მაგას ჭამს თათარი?!

თინა. ციმბირში სმენას ცხრა საათზე იწყებს, აქ შვიდზე შეუდგა საქმეს.

მაია. რა გაძღება ჰქონია!

თინა. ეგენი? ეე!..

მაია. რაც მაგას აქ ჩამოსვლა ფული დაუჯდა, ხომ უნდა აანაზღაუროს...

ნინიკო (ბრაზით). სამაგიეროდ, რასაც შოულობს, თვითონ მიაქვს, ვახო-მახო არ იღებს ჯიბეში.

თინა. ისევ ვახო, რა გინდა იმ ბიჭისაგან, შეეშვი!

ნინიკო. უჰ, მაგისი! ტანია ჩვენზე სამჯერ მეტს აკეთებს--ვახოები და მახოები არა ჰყავს.

მაია (ნინიკოს). კარგი რა, შეეშვი ვახოს, ის გვითხარი რა!..

ნინიკო (უკმაყოფილოა). რა გითხრა, რა გინდა?

მაია. როგორი იყო შენი კაცი. სად იყავით?

ნინიკო (მზერა გაუბრწყინდება). სვეტი, ნაღდი სვეტი! ვილაში მიმიყვანა? დაიბ-

9.

რიდებოდი. რა მებელი, რა სპალნა! ერთი კაიფი იმ სპალნაში გრიალი იყო!

მაია (დაინტერესებული). სახლში წაგიყვანა?!

ნინიკო (გაკვირვებული). აბა, ქუჩაში ვიზამდი?

მაია (ნირწამხლადარი). არა, მე ისე...

თინა. შენ? რა ჰქენი?

მაია (უხალისოდ). რა უნდა მექნა--მეც იმას ვშვრებოდი, რასაც-- თქვენ.

ნინიკო. სიმებიანი კვარტეტისათვის მუსიკა ცუდად დაგიწერიაო, არავინ გაბრალებს. გვითხარი ახლა, სად იყავი, როგორი ტიპი იყო?

მაია. იყო რა...

თინა. ამოიღე ქალო ხმა. სად წაგიყვანა, რა გაჩუქა!

მაია (ამ თემაზე საუბარი არ სურს). ისე რა უშნო სახლები აქვთ, არა?!

თინა. რასაც გეკითხებიან, იმაზე გვიპასუხე!

მაია. რა პასუხი გინდა! სიმებიანი კვარტეტისათვის ვწერდი მუსიკას.

თინა (სიცილით). თუ სასულე ორკესტრისათვის?

ნინიკო. გაჩუქა რამე?

მაია. ისე რა!

თინა. სულ არაფერი გაჩუქა?

ნინიკო. შტერია ეს ვახო--შენთვის ხნიერი კაცები უნდა შეარჩიოს. პატარა გოგოები ხნიერებს უყვართ. მაყუთსაც კარგად ღებენ.

თინა. სულ არაფერი გაჩუქა? სულ?

მაია. არ იყო რა... სიტუაცია არ იყო.

ნინიკო. გამაგიჟებს ეს ქალი! მე რომ ყველაფერი მომაცოლეთ, შენ არ გეკადრება? რატო არაფერს ამბობ?

თინა. ამოღერდე, ქალო!

მაია. მანქანაში გამაშიშვლა იმ შობელძაღვლმა!

თინა (გაკვირვებული). მანქანაში?!

ნინიკო. მერე რა მოხდა, მანქანის სექსიც არსებობს! პრეზენტად რა მოგცა?

მაია. რა პროკურორებივით დამეტაკეთ!

ნინიკო. ცუდად ხო არ მოგექცა? ვახოს დედა უნდა ვუტიროთ, გოგოებო!

მაია (ლამის ცრემლი მოადგეს). არ ვიცი, არ ვიცი...

თინა. მაკუნი, შენ რაღაცას გვიმაღავ.

ნინიკო. ცუდად მოგექცა?

მაია. ფული მე მივეცი.

ნინიკო (ლამის ადგილიდან წამოიჭრას). რა თქვი? რას ამბობ!

თინა. გააფრინე?!

მაია. გააფრინე, ხო, გააფრინე! შიშველი, სულ შიშველი ვეგლე იმის მატარებელივით გრძელ მანქანაში... შტერი იყო, ნაღდი იდიოტი! ისე შემცივდა... მე სიცივისაგან ვკანკალებდი, ის კი უბერავდა და უბერავდა... ისე ქმინავდა... როგორ მციოდა... მერე პოლიციელები დაგვადგნენ თავს.

თინა. პოლიციელები?!

მაია. არ შეიძლებაო, პარკში ხართო... პოლიციაში ეგრე შიშველი მივყავდით... ის შტერი, კიდევ რაღაცას ელაპარაკებოდა, უხსნიდა... სურათი გადამიღეს...

10.

თინა (შეძრწუნებული). სურათი? შიშველს?!

მაია. ოთხჯერ გადამიღეს... რაღაცას მეუბნებოდნენ, მერე იმ დებილმა ფული ამოიღო, საკმარისი არ არისო, მითხრა... მე დავუმატე.

ნინიკო. შენი ფული მიეცი?

მაია (ცრემლი ყელში ებჯინება, თავს იკავებს). ჩემი ფული, ჰო.

თინა. შე, საცოდავო!

ნინიკო. როგორ... ფული როგორ მიეცი?!

მაია. რაღაცაზე ხელი მომაწერინეს. მე მგონი, ქრთამს რატომ გვაძლევდითო... იმან ჩემი ფული თავის ფულს დაამატა. (ცრემლს ველარ იკავებს. ტირილი ერევა). რატომ, რისთვის?! იცით, რა დღეში ვართ? ერთი ძმა მყავდა სულხან საბა დაამთავრა...სამსახური რომ ვერ ნახა, იტალიაში წავიდა... ის გვარჩენდა, ბინების გაძარცვაო და...

თინა. დაიჭირეს?

ნინიკო (მოთმინებადალექული იყვირებს). კარგი, გაჩუმდი!

მაია (ქვითინებს). მე თათართან რა მინდოდა, ჩვენს ბიჭებთან კიდევ ჰო...დღეა მიკვდება, გოგოებო... დედაჩემს მეტი აღარავინ აღარა ჰყავს...

თინა (მაიას ეხვევა). მაგას მოარჩენენ, მაკუნნი!

მაია. რომ იცოდეთ, რა უმწეოა, როგორ მებრალება...(ცრემლი ერევა) მე აქ რა მინდოდა...

დუმილი. მხოლოდ მაიას ქვითინილა ისმის.

ნინიკო (მაიას მიუჯდება, ეხვევა, ალერსით). კარგი რა, დაწყნარდი.

მაგათი ქალაქები ფეხებზედაც არა გკილია? რამდენიც უნდათ, იმდენი წერონ და იკითხონ. ერთ კვირაში წახვალ აქედან და მორჩა! აი, ეს შენ! (ჩანთიდან ფულს ამოიღებს, უბეში ჩაუჩურთავს, ღიმილით). მაგისტვის ტირი? გადი და ფულს უცებ შემოიტან. ერთი თათარი და მისი ჯანი!

მუეძინის ხმა. აალაჰუ აკბარ! აალაჰუ აკბარ!

ნინიკო (პირჯვარს გადაიწერს). აჰა!

თინა. სწორს ამბობს ნინიკო, მართალია. ფულისათვის ტირილი? ერთმა კაცმა ოც დოლარიანიც მაჩუქა, დღესაც მომცემს ვიღაცა, ა, ჩაიდე ეს... ჩაიდე, ჩაიდე! შენც მოგცემენ!

ნინიკო კარგით, ახლა, გაათავეთ მაგაზე ლაპარაკი. ეგ ამბავი დაივიწყე, მაკო! გინდა ჩემს კაცზე გიამბობ კიდევ... იცი რა სახლი იყო? გლიჯავდა. კრესლოში მოგყურდი თუ არა, სიგარა მომართვა. თვითონ აბაზანაში შევიდა, ნაბანავებზე ხალათმოსხმული გამოვიდა და ახლა შენ შედიო. მეც ხალათი ჩამაცვა და ისე მებლატაებოდა, თავი მერილინ სტრიპი მეგონა. ჩვენები რო თხუთმეტ წუთში მოათავებენ ყველაფერს, ისე კი არ იყო! დინჯად იქცეოდა, არ ჩქარობდა. ერთ ჭიქა შამპოს მთელი საათი ვსვამდით. მერე დაიწყო, რაც დაიწყო, აი, სექსფილმებში რომ გინახავთ.

კარზე აკაკუნებენ. მაია ადგილიდან წამოიჭრება, კარისაკენ გარბის.

მაია. ნაღდად ის არი, ფულის დასაბრუნებლად მოვიდა! (კარს აღებს, კარებში ღიმილდაქცეული, სახეგაცისკროვნებული ნური დგას ხანმორეული, ჭალარა,

11.

კაფანდარა კაცი).

ნური. სალამ, სალამ გურჯი ხათუნებს.

ნინიკო. ძია ნურის მივესალმები ორმოცი ცხენოსნით!

ნური. აი, გურჯისტანული! ეს მემღვექეთურია! ჩვენ ოსმალეთის გურჯები გავი-ხარეთ გურჯი ხათუნების ჩამოსვლა. (თინას). ჩემი თინათინ ხათუნი როგორ არის?

თინა. კარგად, ძია ნური!

ნური (ალერსით). ჩემი თინათინ ხათუნი! რა კარგია გურჯები --დასასვენებლად ოსმალეთში ჩამოდის. აგერ აირანი, ფეშქეში! (ჩანთიდან ქილებს ამოალაგებს და მაგიდაზე დაალაგებს). დალიეთ!

თინა. რიგორ სწუხდებით, ძია ნური! გუშინ ლეღვი, დღეს--აირანი! ძალიან გთხოვთ...

ნური. აირანი--დილის მადლი. აი, ისა... ვითომ რძე... ლამაზი გოგო, ლამაზი ბიჭი...
 გუშინ ჩემი ფრიდონი გნახა.
 თინა (შეშფოთებული). სადა?
 ნური. აქ, ოტელთან მოიყვანე, სალამოს.
 ნინიკო (ხმადაბლა). ღამე არ სჯობდა?
 მაია. ფრიდონი ვინ არის?
 ნური. ფრიდონი! ჩემი ძე! გურჯი ფეხლეგანი ფრიდონი... აფრიდუნი!
 ნინიკო. (თინას გადალაპარაკებს). ქართველი იქ არ გყავდა?!
 ნური. ახლა ნური წავიდა, აფრიდუნი მოვიდა. თინათინ აფრიდუნ გეზმექ...
 გაისერნოს... ხო? თქვენში ურვალი იცის?
 თინა. ურვალი რა არის?
 ნური. ურვალი, თინათინ, ურვალი!
 თინა (გოგებს გადახედა). არ ვიცი, არ გამიგია...
 ნური. აი, ისა... (სიტყვა ვერ მოუგონებია). სიძემ შენს მამას...
 თინა. სასიამამროს...
 ნური. ჰო, ჰო, ჰო... სასი... სასიამამროს ფული მოუტანა, მადლობა ეგ გოგო ჩემთვის
 გაგიზრდიაო.
 ნინიკო (ეს ინფორმაცია მხიარულ გუნებაზე აყენებს). რაო, რაო?
 მაია. ჩემთვის გაგიზრდიაო?!
 თინა. ფულს აძლევს?

(სამივენი – თინა, მაია, ნინიკო გულიანად იცინიან).

თინა. არა, ჩვენში ასეთი რამ არ არის!
 ნური. გურჯისტანის ხალხი – მდიდარი ხალხი! გურჯისტანის გურჯი ხათუნ
 თინათინ და თურქიეს გურჯი ფეხლეგან ფრიდონ, აფრიდუნ არის ერთი ოჯაქ!
 (მიღის). ახლა ნური წავიდეს, ფრიდონი მოვიდეს... ორი გეზმექ... გეზმექ! სეირნობა
 წავიდეს. (გადის).
 ნინიკო (სავარძელში ჩაეშვება). დაირტყი?
 მაია. მაგასაც დოლარი არ მოთხოვო, გოგო!
 ნინიკო. ერთი დამანახა როგორ აგისხნის სიყვარულს.

12.

მაია (გაითამაშებს). გურჯისტანის მზეხათუნო თინათინ... მზე აღარ ამოდის
 ჩემთვის... მე აღარ მინდა მზე, შენ ანათებ ქვეყნიერებას, გაანათე ჩემი სულიც...
 გაანათე ღამე მემლექეთის სხივო, გაანათე სული ჩემი!
 ნინიკო. და ლოგინიც ჩემი! ოცდაათი დოლარი ფეშქეშ!
 თინა. რატომ ღადაობთ? ამ კაცს რომ ველაპარაკები, ასე მგონია, ნამდვილი
 საქართველო, ნამდვილი ქართველი კაცი დგას ჩემს წინ.
 ნინიკო. გააფრინე? ის არ არის ნამდვილი საქართველო?

თინა (პაუზის შემდეგ). მე აქ უფრო მომწონს (ფიქრობს). როგორი მორიდებულნი არიან... ერთიმეორისადმი პატივისცემა სუფრაზე, სადღეგრძელოში კი არა, ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი. ჩხუბი არ მინახავს ქუჩაში, ჩხუბი!

მაია (წაუბღერებს). სიყვარულო, სიყვარულო, რა ხაროლო!

ნინიკო. სიყვარული მოუნდა! (თინას.) სიყვარული გინდა, ფისო?

თინა რა ამბავში ხართ!

მაია. (თინას). არ გინდა?

თინა. კარგი, რა!

მაია (ჯიუტად). თქვი, მითხარი – სიყვარული არ გინდა?

თინა (პასუხს თავს არიდებს). რაზე მეკითხები?

მაია. იცი, შენ რაზეც გეკითხები – მიპასუხე, არ გინდა?

ნინიკო. ჰო, გამოტყდი ახლა რომ სლაბი ხარ!

თინა. რა ვიცი, ისე, რატომ არ უნდა გინდოდეს, მაგრამ სად... (პაუზა).

რა აზრი აქვს... მაგრამ ისე.

ნინიკო (მაიას). ეგ შეკითხვა ცოტა სასაცილო ხომ არ არის?

მაია. ახლა შენ მიპასუხე, მხოლოდ სიმართლე მითხარი – არ გინდა?

ნინიკო რა – სიყვარული? სიყვარული არ არსებობს. სიყვარული გამოიგონეს იმ ქალებმა და კაცებმა, რომლებიც არავის არ უნდა, არის სურვილი, სურვილი სექსის, სურვილი ოჯახის შექმნის, სურვილი ბავშვის გაზრდის, მაგრამ მთავარი მაინც არი სექსი – იმ ადამიანის სხეულის დაუფლების სურვილი, რომელიც გგონია, გიყვარს...

მაია (ირონიულად). მორჩა?

ნინიკო (გალიზიანებული). მორჩა კინო! კიდევ რა გინდოდა?

მაია. ადამიანი? ადამიანი სად არის? მე დღეს ქალი – ერთი უბრალო ჭურჭელივითა ვარ, მინდა ადამიანი ვიყო. ადამიანი კი მაშინ ხარ, თუ გიყვარს.

ნინიკო. ვაა, ერთი ამას...

ნიჰალი. (დაუკაკუნებლად, აუჩქარებლად შემოდის, ორ-სამ ნაბიჯს გადმოდგამს, ოთახს მოათვალიერებს, ერთობ გამომწვევად ჩაცმულს თავი უბრალოდ უჭირავს, მეგობრულადაც კი). სალამი, სალამი, მოგესალმებით, გურჯისტანიდან ჩამოსულ მეზობლებს, რა კარგი გოგოები ხართ! მე ნიჰალი მქვია, ვიცნობდეთ ერთმანეთს. ჩვენ ერთ საქმეს ვემსახურებით. თქვენ იქ – გურჯისტანში, ჩვენ აქ – თურქეთში. ამიტომ მეგობრები უნდა ვიყოთ (ნინიკოს, მაიას, თინას უახლოვდება და თითო კოლოფ სუნამოს გადასცემს). იაფფასიანი არ გეგონოთ! შესაძლოა, მეც ჩამოვიდე გურჯისტანში... ჩამოვალ, არა სამუშაოდ, სასეირნოდ, ქვეყნის დასათვალიერებლად. თქვენ გულს ხომ არ გატკენთ. ჩვენში ასეთი წესია: აქაური ქალები ხოფაში დადიან, ხოფიდან კი აქ ჩამოვლივართ, ზოგჯერ სტამბოლშიც

13.

მივდივართ... ზოგჯერ... დღეს ეს ქალაქი ჩვენია. ორი თვეა აქ ვმუშაობთ. ისინი, ვინც ჩვენამდე იყვნენ, ტრაპიზონში გადავიდნენ. როგორც კი ქალაქი შეეჩვევა ქალს, ქალი უნდა წავიდეს. ისინი წავიდნენ. თუ სხვა საქმეს არ მოჰკიდეს ხელი, თუ არა გათხოვდნენ, ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდებიან. მერე ჩვენ წავალთ და ისევ დავბრუნდებით. თქვენ კი მოხვედით და ჩვენი წესი დაარღვიეთ. გინდათ, ლუკმა

წავგართვით? არ გამოვა! (პაუზა. თითქმის მუქარით.) ამ საღამოს, ხუთ საათზე სამივენი სასტუმროს ფოიეში ჩამოხვალთ. საზღვრამდე მე თვითონ მიგიყვანთ (კარისაკენ მიემართება. ორიოდ ნაბიჯს გადადგამს, მობრუნდება, (ხაზგასმული მუქარით.) დღეს, ხუთ საათზე! გასაგებია? (ღუმილი). ვერ გაიგეთ? ამ საღამოს, ზუსტად ხუთ საათზე! კარგად იყ...

ნინიკო (წამოდგება, მაიას და თინას სუნამოებს გამოგლეჯს და ნიჰალს ფეხებთან მიუყრის). კი, როგორ არა, ყველაფერი გავიგეთ!

ნიჰალი (უხმოდ დგას). ასე გინდათ? მე ვფიქრობდი, გურჯები არიან ჩვენი მეზობლები-მეთქი.

ნინიკო. წადი, წადი, დაახვიე!

ნიჰალი ირონიული ღიმილით გადის.

ღუმილი. გოგონებს დაბნეულობა ვერ დაუძლევიათ.

მაია. რა უნდოდა? (ღუმილი.) რა ვქნათ? (ღუმილი. მეზობელი ოთახიდან ვიღაც გავიდა და კარი ძლიერ გაიჯახუნა. ამან კიდეც უფრო დაძაბა გოგონები. რა ვქნათ-მეთქი!

თინა. უნდა წავიდეთ, აქუარობა უნდა დავტოვოთ?

ნინიკო. ერთი მაგის პროსტიტუტკა დედა არ ვატირე? მაგის ჭკუაზე ხო არ ვივლით? (საწოლზე ჩამოჯდება, სიგარეტს ამოიღებს, მოუკიდებს).

თინა. მეც მომეცი, რა! (თინას სიგარეტს მიაწვდის, მოუკიდებს).

მაია. გოგოებო...

ყურადღებას არ აქცევენ.

გოგოებო!

ღუმილი. თითქმის ყვირის

გოგოებო!

ნინიკო. რა გინდა, რას დაგვჩნავი თავს!

მაია. ჩვენც ამნაირები ვართ? ჩვენც ისეთები ვართ, როგორც ეს იყო?

ნინიკო (ღიმილით მისჩერებია მაიას). აბა? შენ რა, აზრზე არა ხარ? (იცინის). ამნაირები ვართო?

მაია (ნერვიულად, დაძაბული). მითხარი – ვართ თუ არა ამნაირები!

ნინიკო (პაუზის შემდეგ). შენ არა, შენ მაგნაირი ვერც გახდები. ეგ ნამდვილია პროფესიონალი... თავისი საქმე კარგად იცის... შენ კი... შენ... (ხელი ჩაიქნია). შენ უბრალოდ თამაშობ... ცელქობ!

თინა. ძალით ხომ არ გაგყვრიან აქედან? არაფერს გაგაფუჭებ, არაფერს დაგაშავებ და ძალით გაგვაგდებენ?!

ნინიკო. მიშველეთ! კეთილშობილ ქალთა სასწავლებელში ვარ, თუ საქმეზე

,

14.

ჩამოვსულვარ აქ! (თინას). ნუ გეშინია, შენს აფრიდუნას არავინ დაგაშორებს!

თინა. მოკეტე!

ნინიკო. თუ აფრიდუნას პირველსავე სალამოს არ გაუკოტრიალდები და დოლარს არ მოსთხოვ, ქორწილს გადაიხდით, რა კარგი სანახავი იქნები!

თინა (ბრაზით). ეგ რა შუაშია... განა მაგიტომ...

ნინიკო (თინას ყურადღებას არ აქცევს). გაზეთებშიც ერთი ამბავი ატყდება.

„ქართველი ქალის ქორწილი ოსმალეთში“, „იმედი“ იტყვის: „შეერთდა ისტორიული და დემოკრატიული საქართველო“, „ქორწილი საზღვრის გადაღმა“, „თინათინისა და ფრიდონის ქორწინება“. „მთავარი არხი:“ „ივანიშვილის რეჟიმს თავდაღწეული ქალები ოსმალეთში თხოვდებიან!“ ისიც შეიძლება ითქვას: „საბოზაოდ ჩამოსული ქალის ქორწილი“.

თინა (ყვირის). ნინიკო!

ნინიკო რა იყო, არ შეიძლება, ეს თქვან? ხალხის გამათხოვრება შეიძლება, დამშევაც შეიძლება, ვირთხებივით სიბნელეში ჩაყრა შეიძლება, ეს კი არ შეიძლება! ამ როჟებს თურმე საქართველოს დამოუკიდებლობა კი არ უნდოდათ, იმისთვის იბრძოდნენ ქვეყნის, ხალხის ძარცვაში ხელი არავინ შეგვიშალოსო. აჰა, არის ორი საქართველო, მშვიერი ხალხის საქართველო, და როჟების საქართველო!

მეზობელ ოთახში რაღაც გაბრაზუნდა. ქალმაც შეჰკვივლა.

მაია. ჩუ... რა ხდება?

ტანიას ხმა. პომოგიტე, პომოგიტე!

მაია (ნინიკოს ჩაეკვრება). რა ამბავია?!

ტანიას ხმა. ლუდი ღობრიე, პომოგიტე, პომოგიტე!

თინა. სცემენ!

მაია (შეშინებული). ვაი!

ნინიკო. წამო, სამივენი შევუვარდეთ!

მაია (ნინიკოს ეხვევა). არა, არაა, არა!

ნინიკო. რა გინდა, ქალო, რას მეხვევი, შენი დედიკო ხომ არა ვარ!

ტანიას ხმა. დევოჩკი, პომოგიტე, უბივაიუტ!

მაია (თინას). ჩაკეტე, კარი ჩაკეტე! (კარს თვითონ მივარდება, ჩაკეტავს).

ნინიკო (ლოგინზე ახტება, კედელს მუშტებს ურტყამს). მოდით, მოდით, ყველამ ერთად ვურტყათ და ვიკივლოთ. (ყვირის). ეეე! ეე! (მაია და თინაც შეუერთდებიან. ჯერ გაუბედავად აბრაზუნებენ კედელზე. შემდეგ უფრო ინტენსიურად, ძლიერად). ეეე! ეეე!

ნინიკო. მაგრად, მაგრად!

მაია (ცრემლი ერევა). რა გინდათ, რა! ჩვენგან რა გინდათ! ყაჩაღებო, ბანდიტებო!

ნინიკო (მაიაზე). ერთი ამაზე მომადებინა, რა ატირებს!

თინა. მაკო!

მაია. რა უნდათ ჩვენგან, რა! (კედელზე უაზროდ აბრაზუნებს. მეზობელ ოთახში ხმაური შეწყდება, მაგრამ აღვზნებული მაია და თინა ამას ვერ გრძნობენ.)

ნინიკო. ჩუ! (მაია და თინა მაინც აბრსახუნებენ.) ჩუ-მეთქი, რა ამბავში ხართ! (მაია და თინა შეჩერდებიან. გასძახის.) ტანია! (ღუმილი). ტანია! (ღუმილი).

15.

შეშფოთებული). ტანია!

მაია (ლამის ისტერიულად). მოჰკლეს. მოჰკლეს ყაჩაღებმა!

თინა (ყვირის). ტანია, ტანია!

ტანიას ხმა. (თითქმის მოთქმით). ნუ ჩტო, დევორკი, უშლი ონი, უშლი... ნე უბილი.

ნინიკო. ჩევო ონი ხოტელი?!

ტანიას ხმა. მესტნიე პროსტიტუტკი პრისლალი... ნე პოსლუშალას ია... ვსიო ზაბრალი... ი დენგი... ი ოდეჟდუ... ნიჩევო ნე ოსტავილი... იზნასილოვალი, იზბილი... იზუროდოვალი... კტო ჟე ზახორეტ სო მნოი...

ნინიკო (საწოლზე უღონოდ დაეშვება). უჰ, შენი!

**სამივენი უხმოდ სხედან შიშდარეულნი,
სასოწარკვეთილნი, სახეებზე ტანჯვა აღბეჭდვით.**

მაია. ჩვენთანაც მოვლენ?

ნინიკო. ნუ ჩაისვარე!

მაია. რომ მოვიდნენ?

**ნელა, უხმოდ იღება კარი. ჯერ ყვავილების თაიგული
გამოჩნდება, შემდეგ აზიზი – ელეგანტურად ჩაცმული,
ახალგაზრდობას გადაცილებული მამაკაცი.**

მაია (შეშინებული ლოგინზე შეხტება). ვინ არის, მიშველეთ!

აზიზი (სახეგაბრწყინებული). სალამ, სალამ გურჯი ხათუნ!

ნინიკო (სიხარულმორეული). ამას ვის ხედავს ჩემი თვალები!

აზიზი (ნინიკოს ხელზე ჰკოცნის). სელამ, სელამ ნინიკოლო! (თინას და მაიას მიუბრუნდება). სელამ, გიუხელ გურჯი ხათუნ!

ნინიკო (ამ სტუმრობით ძალიან გახარებულია). ჩემი კაცი მოვიდა, გოგოებო! ეს არის ჩემი კაცი, ამასთან ვიყავი წუხელი.

აზიზი (აღერსით). ნინიკოლო, ნინიკოლო!

ნინიკო საიდან მომაგენი, ბიჭო, რამ მოგიყვანა აქ! მოგენატრე? გოგოებო, ხო უყურებთ, როგორი კაცები არიან! ჩვენი ბიჭები ერთხელ მოვლენ და მთელი წელიწადი გალოდინებენ--არშიყობაშიც თავადები არიან! ეს კი მოცუნცულდა.

**აზიზი ყვავილების თაიგულს დაშლის და
სამივე ქალს თანაბრად დაუნაწილებს.**

თინა. მერსი!

მაია. თენქიუ!

აზიზი. თეშექქიურ ედერიმ, თეშექქიურ ედერიმ...

მაია (ნინიკოს). რა უნდა?

ნინიკო (სიხარულით ატაცებულია). რა ვიცი მე, მაგასთან ვიწექი თორემ, ენას კი არ ვსწავლობდი, ვმუშაობდით, ქალო, ვმუშაობდით!

აზიზი (დაჟინებით). თენქიუ იეს თეშექქიურ ედერიმ!

ნინიკო. უი, ვერ მიხვდი? მაღლობა თურქულად ყოფილა თემ... (აზიზს

მიუბრუნდება). თემ...

16.

აზიზი. თეშექქიურ ედერიმ.

ნინიკო. თავში ქვაო, რა!

აზიზი. თეშექქიურ ედერიმ.

ნინიკო. გავიგე, ბატონო, გავიგე! თეშექქიურ ედერიმ. (მაიას და თინას). ხომ გეუბნებოდით, ნამდვილი სვეტი არის-მეთქი.

თინა. ჰგავს კი.

მაია. ნიი... ცოტა ბებერი ხო არ არი?..

ნინიკო. ახალგაზრდა ვახო გყავთ ეგერ...

აზიზი (ნინიკოს კარისაკენ ანიშნებს). გიდელიმ, გიდელიმ... პლიზ... პლიზ!

ნინიკო. ორმოცდახუთისაც არ იქნება ჯერ.

მაია. თუ ორმოცდაათი ხუთი წლის წინათ შეუსრულდა?

აზიზი (ნინიკოს). გიდელიმ, პლიზ! (მაიას ყურადღებით ათვალიერებს).

ნინიკო. რა გინდა, ბიჭო, ასე რამ გადაგრია. ხო გესმის, რას ამბობენ გოგოები, ბებერიაო, უშნოაო, მაგათ რა იციან, კაცის და ფულის გემო!

აზიზი (მაიას მიუახლოვდება, მუშტრის თვალით ზომავს, ხელსაც კი გადახვევს). პლიზ, პლიზ!

თინა (ნინიკოს). ნიი, დაგერხა!

ნინიკო. უიმე, შენ, მგონი, მართლა ბებერი ყოფილხარ--პატარა გოგოს ეხვევი. მითხარი, მაკო გინდა? მაკოს ირჩევ?

აზიზი (მაიაზე მიათითებს). მაკო? მაკო?

ნინიკო. ჰო, ჰო... მაკუშკები გინდა?

მაია. მომაშორე რა, უთხარი თავი დამანებოს!

აზიზი (ნინიკოს). პლიზ, პლიზ! გიდელიმ!

ნინიკო (მიუხვდა). წავიდეთ?

აზიზი (გახარებული). იეს, იეს!

ნინიკო. მაინც ჩემთან არჩიე, ხო? ბოჩოლას მაინც უღრანი ტყე არჩიე, ხო? ახლავე, ჩავიცვა (ხალათის გახდას აპირებს). მიტრიალდი, ბიჭო, უნდა გავიხადო (თინას და მაიას). ვახო აქაც ხო არ იქნება წილში?!

აზიზი (ხალათის გახდის საშუალებას არ აძლევს, კარისაკენ მოჰყავს). ნო, ნო!

ნინიკო. აბა, რა გინდა, ბიჭო?

აზიზი. (ნინიკო კარისაკენ მიჰყავს). გიდელიმ, გიდელიმ, პლიზ!

ნინიკო. რა ვქნა, გოგოებო, ხომ ხედავთ, როგორაა შეყვარებული! არ გავყვე?

გადავრიო? (თინას.) შენ კიდევ გეგონა, მაკოში გამცვალა! (მიდიან. წაიძღვრებს).

ჩვენ ვერავინ დაგვაშორებს, ჩვენი ფიცი მტკიცე არი!.. (გადიან)

დუმილი.

მაია (თითქმის ოცნებით). წავიდნენ... იქნებ, მართლა უყვარს?!

თინა (იცინის). კარგი რა. მაკო, რას ამბობ!

დუმილი.

მაია. კარგია, მაინც კარგია!

თინა. ნეტა, რა ნახა ასეთი... რას ჰგავს!

17.

მაია. ბებერიცაა.

დუმილი.

მაია. რა ვქნათ? (დუმილი.) ჩვენ რა ვაკეთოთ, თიკუშკი?

თინა (უაზროდ). ვაკეთოთ, ვაკეთოთ...რა ვიცი... მე ვწვები. (საწოლისაკენ მიდის. მიუახლოვდება თუ არა, კი არ დაწვება, ლოგინში ჩაემხოება).

დუმილი.

მაია (მაგიდაზე მიმოყრილ ფურცლებს—როლის ტექსტს დასწვდება. ანგარიშმიუცემლად კითხულობს. თითქოს მაიას კი არა, სხვისი ხმა გვესმის). „იცი რა მოხდა შენს შემდეგ? ნადირად ქცეული მაჰმადიანნი მუშლივით მიესივნენ ჩვენს სიმაგრეს, ვხედავ, ანანია გლახა მოფოფხავს მტკვრის პირას ფრიალო კლდეზე გაჭირვებით, ძლივს მოაღწია ჩემს სარკმელამდე, ხელში ბავშვი ეჭირა“.

თინა. კარგი რა, მაკო, კარგი რა, რა დროს ანანია გლახა!

მაია (ერთხანს უხმოდ დგას. განაგრძობს). „ვხედავ ანანია გლახა მოფოფხავს (უინტერესოდ, ყურადღებადაფანტული). მტკვრის პირას, ფრიალო კლდეზე. გაჭირვებით, ძლივს“...

ფრთხილად იღება კარი, ფრიდონი ერთობ მორიდებულად შემოდის.

მაია (შეკრთება). თიკო, თიკო!

თინა შენ... შენ... ფრიდონი?

ფრიდონი აფრიდუნი... ფრიდონი... თინათინ ხათუნი?

თინა (ლოგინიდან სიხარულმა წამოახტუნა). რა კარგია, რომ მოხვედი, ფრიდონ! ძია ნურის ფრიდონი! (მაიას.) მაკო, იცნობდე, ეს ძია ნურის ფრიდონია.

ფრიდონი (მაიას მოკრძალებით გახედვს). ბაბამ ვითხრა, გურჯისტანიდან თინათინი ჩამოვიდებო... გეზმექ... ერთად გეზმექ...

თინა. ვიცი, ფრიდონ, ვიცი! ყველაფერი ვიცი... მეც გელოდი, წავიდეთ, გავისეირნოთ! (სიხარულმა აიტაცა, მაიას). მაკო, გავალთ, ზღვისპირას ყავას დავლევთ, გავისეირნებთ, ხო არ გეწყინება? თურქეთში თურქული ყავა არ უნდა დავლიოთ? (ფრიდონს ხელს გაუყრის. ფაქტიურად მას მიჰყავს--ამაყს, სიხარულმორეულს). ჩვენ ვერავინ დავგაშორებს, ჩვენი ფიცი მტკიცე არიი... (გადიან).

მაია კარგი, თიკო, წადით, წადით! (დუმილი. როლის ფურცელს აიღებს, ერთხანს უაზროდ ფურცლავს, მერე კითხვას განაგრძობს. ვნებადაცლილი, შინაგანად ცარიელი კითხულობს.) „დიდებული საქმე მოხდა იმ ღამეს, ოთარბეგ, დიდებული... როგორც სვეტი ნათლისა, ისე მინათებს ის ამბავი მთელი სიცოცხლის...“ (ცრემლი ერევა, როლის ფურცლებს მოისვრის და ლოგინზე დაემხოება).

ასისტენტის ხმა. ათი წუთია შესვენება მეტი არა! (მცირე პაუზა.) აბა, თქვენ იცით, როგორ გააბოლებთ, აქ არა, ეზოში გადით და იქ გაივსეთ ფილტვები შხამით. ბელზებელმა, კორონავირუსს დავაბარე ყველა მწვეველი აქ მომიყვანოს, სუფრა მაქვსო გაშლილი.

18.

მეორე მოქმედება

გავიდა ორიოდ დღე. იგივე ოთახი.

აივნის კარი ღიაა. მკაფიოდ ისმის ზღვის ტალღების ცემის ხმა. მაია მღელვარე ზღვას ნალველმორეული შესცქერის. ნინიკო ღიღინით ემზადება აბაზანაში შესასვლელად. ხალათი უკვე ჩაუცვამს, ახლა გამჭვირვალე ჩაჩს იხურავს თავზე.

მუეძინის ხმა. აალაჰუ, აკბარ... აალაჰუ აკბარ!

ნინიკო (პირფარს იწერს). აჰა, ისევ!

მაია. ასე რატომ ღრიალებს ზღვა?

ნინიკო. სამაგიეროდ, ის მღერის, ეგე!

მაია. ასე არსად არ ღრიალებს ზღვა.

ნინიკო (იცინის). იღრიალოს, შენ რა გენაღვლება? გთხოვს რამეს?

მაია. კი, ასე მგონია, რაღაცას მოხოვს. (პაუზა.) მეშინია.

ნინიკო. მოგცლია ერთი, რას უნდა გთხოვდეს? შენ ქმარი გყავდა?

მაია. ქმარი? ისე რა!

ნინიკო. პირველ თვეებში სულ შენთან იყო, მერე გაწვალებდა--ხან მოდიოდა, ხან-- არა, ხო?

მაია. ხო.

ნინიკო. შენ პირდაპირ საყვარლებიდან დაგიწყია. მე კიდევ გავთხოვდი. მთელი ექვსი თვე ვიყავით ერთად.

მაია. რომელი სჯობია?

ნინიკო. რა საკითხავი ეგ არი--თავისუფლება! თავისუფლება ყველაფერს სჯობია! შენ რამდენ ხანში გახვალ?

მაია. არ ვიცი.

ნინიკო. ვახოს დილამდე არაფერი უთხრა, ფეხებიც რომ გაფშეკოს, არაფერი უთხრა, დილას, კიდევ არ გკითხოს, მიახალე. ერთი მაგრად გაუსკდეს გული. არ ეკუთვნის თუ! დედაჩემის სახლი ხო კარგად გახსოვს?

მაია. ხიდს გადაივლი თუ არა, „ლიბერთი ბანკის“ თავზე არისო, არ მითხარი?

ნინიკო (შუბლზე ჰკოცნის). გენაცვალოს ნინიკო მაგ ჭკვიან თავში! (სააბაზანოსაკენ მიდის). წავედი... კოსტუმი!

მაია. სააბაზანოში კოსტუმი რად გინდა?

ნინიკო (კოსტუმს სააბაზანოს კარზე ჰკიდებს). აგე, აქ უნდა იყოს-- ეგეთი წესი მაქვს. ნუ მოიწყენ, წყალს გადავივლებ და უცებ გამოვალ! (აბაზანაში შედის, მოისმის წყლის ჩხრიალი).

მაია (ჩანთიდან შარვალს ამოიღებს, ჩაიცვამს, კარადის სარკეში კარგად ათვალიერებს საკუთარ თავს. გაიხდის და კვლავ ჩანთაში ჩადებს. მაგიდიდან როლს აიღებს, ჯერ ბუტბუტებს, შემდეგ ხმამაღლა კითხულობს ტექსტს). „გაიხსენე საქართველოს პირქვე დამხობისა და თეიმურაზის მოკვლის ღამე, შენ – დაჩეხილი, სისხლში მოთხვრილი მოიჭერ ჩემთან (შეყოვნდება. ფიქრობს). მოიჭერ ჩემთან

19.

(პაუზა). მოიჭერ ჩემთან (პაუზა). მოიჭერ ჩემთან... (ტელეფონის ზარი. მაია უკმაყოფილოდ გახედავს აპარატს, ყურმილს აიღებს). ჰო... კი... ჰო... კარგი. (ყურმილს დადებს, აბაზანის კართან მიდის.) ნიი, ნიი... (ყვირის). ნიიკო, ვახომ დარეკა, არსად წავიდეს, მოვდივარო. დააჩქარე, თორემ მოგისწრებს.

ნინიკოს ხმა (წყლის ჩხრიალში ისმის). მოვდივარ.

მაია (როლის ფურცლებს მიუბრუნდება. კითხვას განაგრძობს). „გაიხსენე საქართველოს დამხობისა და თეიმურაზის მოკვლის ღამე, შენ დაჩეხილი – სისხლში მოთხვრილი მოიჭერ ჩემთან მეტეხის ციხეში, რათა საქართველოს დაღუპვა და ჩემი ქმრის სიკვდილი გეუწყებინა. სისხლი თქრიალით გამოგდიო...“ (ოთახში ორი ნიღბიანი შემოვარდება. შეჰკვივლებს). აჰ!... ნინიკო! ნინიკო! ტანია! მიშველეთ! (ერთი თავდამსხმელი მაიას მივარდება, ხელთ ვერ მოიგდება, მეორე მაგიდაზე პაწია მაგნიტოფონს დადებს, მთელი ხმით ააღრიალებს, მაგნიტოფონის ხმა ფარავს მაიას ყვირილს. ოთახს დაუვლის, რაც ხელში მოხვდება, ერთ დიდ ჩანთაში აქცევს. კარადას გამოაღებს, ტანსაცმელს, ნაჩუქარ ნივთებს ჩანთაში ყრის. მაია კი ოთახში მიმორბის, ცდილობს თავდამსხმელს გაექცეს.) ნინიკო, ნიი! (იატაკზე დაგებულ ხალიჩაზე ფეხი დაუცდება. თავდამსხმელი წამოეწევა, ცდილობს ტანსაცმელი გახადოს. შემოახევის კიდეც, რაც აცვია. საწოლოსაკენ მიათრევს. იღება აბაზანის კარი, ნინიკო ხელს გამოჰყოფს, კოსტუმს ჩამოხსნის და აბაზანაში შეიტანს.) ნიი, ნიი, ნინიკო! (თავდამსხმელს უმწეოდ ებრძვის, ცრემლი ახრჩობს, თავდამსხმელი საწოლთან მიიყვანს, ზედ დააწვენს.) ნიი, ნიი! (საწოლს თავს დააღწევს, გაქცევას ლამობს, ამოდ – თავდამსხმელი იატაკზე მოიგდება, ახლა იქ ცდილობს მის დაუფლებას).

ნინიკო (სააბაზანოდან მორთულ-მოკაზმული გამოდის). რა ამბავია, მაკო, ასე ხმამაღლა! (დაინახავს, რაც ოთახში ხდება, კოსტუმის ჯიბიდან პისტოლეტს ამოიღებს, თავდამსხმელს დაუმიზნებს და ესერის კიდეც.) უჰ, შე თათარო, შენა! (მეორე თავდამსხმელი, მისკენ გამოექანება, მაგრამ როგორც კი პისტოლეტს მოჰკრავს თვალს, შედგება).

თავდამსხმელი (შეშინებული). ააა! (ხელებს მაღლა სწევს).

ნინიკო (პისტოლეტს დაუმიზნებს). შენც, შენც მოკვდი, თათარო!

ნიჰალი (ნიღაბს მოიხსნის, სასოწარკვეთილი). არ მესროლოთ, გნებდებით!

მაია. ეს ის არ არის?...

ნინიკო. უჰ, შენი ჩათლახი! (წიხლს ამოარტყამს).

მაია. რა დღეში ჩამავდე!

ნიჰალი. (მეორე თავდამსხმელზე). მოკალი?

ნინიკო. არა ხართ მოსაკლავი?

ნიჰალი (შეშფოთებული). მოკალი?

ნინიკო. ნუ ჩაისვარე, გაზის პისტოლეტია. თხუთმეტ წუთში აზრზე მოვა.

ნიჰალი. (ღონეგამოცლილი იატაკზე დაეშვება). იმას კი არ კითხულობთ ჩვენ რა დღეში ჩავვაგდეთ. რას გვერჩით, რა გინდათ, ლუკმა-პურს რატომ გვაცლით. ვერ იქნა და ვერ მოგიშორეთ თავიდან... არც მუქარამ გასჭრა, არც ტკბილმა...

ნინიკო. გურჯის ქალებს არ გაეკარო, თორემ!..

ნიჰალი (მაიას). შენ მაინც რა გინდა, მაია, შენ ხომ ჩვენს ხელობასთან არაფერი გაქვს საერთო გარდა იმისა, რომ ქალი ხარ... შენ ხომ ვერასოდეს გახდები ჩვენი...

20.

წადი, თავს მიხედე!

ნინიკო. თქვენ სულ პროფესორები მყევხართ!

ნიჰალი (ნინიკოს საყვედურით შესცქერის). რაცა ვართ, პურს ამით ვჭამთ...

თქვენ კი ფასი დაგვიკარგეთ... ჩვენი კაცები აღარ გვეკარებიან... თქვენ გგონიათ... რომ არ გვიჭირდეს, ამ საქმეს...

მაია (მიუახლოვდება). შენ რა... შენც დედა გყავს ავად? დედა გიკვდება?

ნიჰალი. დედა? (სიგარეტს მოუკიდებს). შვილი, ერთადერთი შვილი... ჩემი ქმარი ფეხმძიმობაში მცემდა, მირტყამდა... ალი მახინჯი დაიბადა, ავადმყოფი...სიარულიც არ შეუძლია, რომ იცოდეთ, რა საბრალოა!

ნინიკო. ოო, მოჰყვება ახლა... გული არ ამიჩუყო...

მაია (ნიჰალის ეხვევა). თქვი, მითხარი, მითხარი!

ნიჰალი. ქმარი გაიქცა... ალი წამოიზარდა, იცი, რამდენი ფული უნდა მკურნალობას? სხვა არაფერი აღმომჩნდა...რაც მაქვს, იმას ვყიდი...

ნინიკო. წადი რა, წადი, შეაყოლე, ახლა მაგით გინდა ამიყვანო... ავადმყოფი, თორემ ისე ბოზი არ გახდებოდი. ბოზი ის ხდება, ვისაც ძალიან უნდა ბოზობა.

ნიჰალი (ნინიკოს გამგძირავ მხერას მიაპყრობს). ეგ საქმე გართობა ბრიყვს ჰგონია.

მაია (ნიჰალს). დაწყენარდი! (ნინიკოს). კარგი რ, ნინიკო!

ნინიკო. თქვენთვის არა მცალია, ვახომ არ მომისწროს... (მეორე თავდამსხმელზე). მოჰკიდე ხელი, ასწიე, გაათრიე შენი მიცვალებული.

მაია (შეშფოთებული). მიცვალებული?!

ნინიკო. ახლავე მოვა აზრზე... სჯობია, მიცვალებული იყოს... (ნიჰალს). ასწიე, ასწიე, რა მძიმეა ეს შობელძალი! (ნიჰალი და ნინიკო თავდამსხმელს გაათრევენ, უმაღლ ბრუნდებიან. პისტოლეტს მაიას აწოდებს.) ეს შენ გქონდეს, იქნებ, დაგჭირდეს, რა იცი, ვის გადაეყრები. ჰოლანდიაში მაჩუქა ერთმა ტიპმა.

მაია (ხელებს გაასავსავებს). არა, არა!

ნიჰალი (მაიას ხელს მოხვევს). მე მინდა მთავარი გითხრა და წავიდე.

უნდა გითხრა, რა არის ქალის ბედნიერება.

ნინიკო. შენ გადამრევი: ბოზი ხარ, თუ ფილოსოფოსი?!

ნიჰალი. ბედნიერების მონიჭება ერთ კაცს შეუძლია, მხოლოდ ერთ კაცს. ჯერ კიდევ გაქვს დრო, წადი და ის ერთი კაცი ეძებე!

ნინიკო. ფრანგებს უთქვამთ, ქალისტვის ერთი კაცი ცოტააო.

ნიჰალი (ნინიკოს საყვედურით შესცქერის). მაგრამო? კიდევ რას ბობენ?

ნინიკო. ჰო, რაო?

ნიჰალი. ორი ბევრიაო, ეს რატომ არ გახსოვს?(გადის).

ნინიკო (მიმავალ ნიჰალს საყვედურით აყოლებს მზერას). ჰოო... ბოზები რომ ფილოსოფოსობას დაიწყებენ... მაშინ ირევა ქვეყანა... სად არი ჩემი ჩანთა... წავედი...

(შემოდის თინა. ერთობ უხალისოდ გამოიყურება).

მიტირეთ! ამას რაღა მოუვიდა?

მაია. თიკო, რა მოხდა? (თინა არ პასუხობს, ლოგინში ჩაემხობა. თინას მიუახ-

21.

ლოვდება, თავზე ხელს უსვამს). რატომ ტირი? იცი, აქ რა დღეში ვიყავით?

ნინიკო (თინას შეუტევს). გამაგიჟებს ეს ქალი! შენ იცი, რას აკეთებ? შენ იცი, ეს რას ნიშნავს? ან პოლნი ქაჯი ხარ, ან კიდევ... (მაიაზე). ან ამ ბავშვს რას ასწავლი?!

თინა. მაგის ბრალია, ყველაფერი მაგან აურია!

მაია (გაოცებული). მე? მე რა დავაშავე...

ნინიკო (თინას). შენ აქ საქმეზე ჩამოხვედი, თუ სიყვარულობანას სათამაშოდ? მორჩი, მეჩქარება!

მაია. მე რა გავაფუჭე, გამაგებინე!

თინა. შემეშვი, დამანებე თავი! გუშინ რა კარგად იყო ყველაფერი, რა კარგად!

ნინიკო. რას გავს, ქალო, რას, ნაღდი ჩანჩურაა! როგორ დადის, ან როგორ აცვია!

მაია. ნიკო!

ნინიკო. რა ნიკო, რა!

მაია. წადი, ვახო მოგისწრებს.

ნინიკო. ერთი მაგ ვახოს დედაც, ფეხები არ მომჭამოს, ძირში! ასეთ დღეში როგორ დაგტოვოთ! სანამ არ ამიხსნის, რატომ ტირის, არსად არ მივდივარ!

თინა. (ცრემლი ერევა). წადი რა, ნინიკო, წადი!

ნინიკო. კაცს მაინც გავდეს! რა შეგიყვარდა მაგისი--ვაჟკაცობა თუ ბევრი ფული? სილამაზე? ლოგინშიც არ გყოლია, რომ ვერ ივიწყებდე. გამაგებინე, ასე რამ გადაგრია!

თინა. ქართველია, ქართველი!

ნინიკო (გაოცებული). რაო, რა თქვი!

თინა. ქართველია-მეთქი!

ნინიკო აუუ! ამას სულ დაუსტვენია! ქართველი მხოლოდ ეგ ნახე?

თინა. ეგ ნაღია, ისეთი, როგორიც უნდა ვიყოთ. (წამოდგება, ჯიბიდან გაზეთს ამოიღებს. შლის). წარბშეკრული მოვიდა, აი, ეს გაზეთი მომაჩეჩა, გაშალე და ნახეო, მეუბნება. შენ გაშალე, წაკითხვა არც არის აუცილებელიო. გაგშალე (ცრემლი ახრჩობს, ვერაფერს ამბობს).

ნინიკო (გაზეთს გამოსტაცებს). ასე რამ გადაგრიათ, რა არის ამ გაზეთში ასეთი (ათვალღერებს). მე აქ ვერაფერი... რა არი... აბა, რა არი... (უცებ შეჰკვივლებს). მაკო?!

თინა (კვლავ ატირდება). გაიგე?

მაი. რა მოხდა?

ნინიკო. ერთი მაგათიც, რა უნდა იყოს! არაფერი! (თინას ბრაზით შესცქერის).

ერთი შენი თავი მაყუყუნა, შე ქაჯო და კეკელა ვირიშვილო, შენ აქ რა გინდა, შენ აქ რა საქმე გაქვს... წადი, ქალო, შენს ლაბორატორიაში, ვინ მოგდევს უკან... შენ სინჯარები და კოლბები უნდა გეჭიროს ხელში, მხოლოდ სინჯარები და კოლბები: შენ უცხო კაცთან კაბას როგორ იხდი!

მაია (აწყვეტინებს). გამაგებინეთ, რა მოხდა?!

ნინიკო. ქაჯობა!

მაია. რა წერია გაზეთში?

ნინიკო. მე თურქულს ინგლისური ვამჯობინე!

მაია (ხელს გაუწვდის). მომეცი!

22.

ნინიკო (გაზეთს კოსტუმის ჯიბეში ჩაიდებს). თურქული, მე მგონი, არც შენ იცი.

მაია (თინას ყურადღებით აცქერდება). ჩემი ბრალი რა არის?

ნინიკო. ის, რომ მაია გქვია და ასეთი ქაჯი დაქალი გყავს!

მაია (ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, დაეჭვებული). ნიი, მომეცი გაზეთი.

ნინიკო (ალერსით). კარგი რა, მაკუშკი, შენც ქაჯი ხო არ უნდა იყვე? წავედი მე, აბა, თქვენ იცით!

თინა. შენ კი ხარ კარგი გოგო, მაგრამ ეგეთი დოსტი როგორა გყავს გურჯი ხათუნსაო, ბაბამ მაინც არაფერი გაიგოს, თორემ...

ნინიკო (თინას ეკვეთება, ხელებს მხრებში ჩაავლებს და სიბრაზემორეული აჯანჯლარებს). შენ... შენა... ხო გითხარი, კეკელა და ქაჯი ხარ-მეთქი, შე... მოგდებ კიდევ, ქაჯო და ქლიავო! ამდენი ჭკუა როგორ არა გაქვს ამხელა ქალს!

თინა (ლამის ცრემლი სდის). ბაბასთვის ყველა გურჯი ხათუნი თამარ დედოფალი არისო.

ნინიკო. ჰოო, ეგ შენი გრეგორი პეკი ხომ სულ გლიჯავს! როგორ იპოვეთ ერთმანეთი, რანაირად! ყველა ქართველი ქალი თამარი როგორ იქნება, გამაგებინე, ან რატო უნდა იყოს! ის ერთი იყო, ერთადერთი!

მაია (ნინიკოს ეკვეთება). მომეცი გაზეთი, ახლავე მომეცი გაზეთი!

ნინიკო (მაიას). შენ კიდევ მაია წყნეთელივით ნუ დამკივი თავს!

მაია (დამაჯერებელი მუქარით). მომეცი გაზეთი, თორემ მიგასრჩობ!

ნინიკო (ცდილობს მღელვარება დაიოკოს). მე მჭირდება.

მაია (ნინიკოს ყელში სწვდება). მე რომ მინდა, მე რომ...

ნინიკო (მაიას უმაღლ მოიშორებს. გაზეთს ამოიღებს და მიუგდებს). ქაჯებო, იდიოტებო, ასეთები როგორ გაჩნდით ქვეყნად! შენც კეკელა ყოფილხარ! ყველა გიჟს

მე როგორ უნდა გადავეყარო! აჰა, აიღე, თქვენ ხომ მეტი ჭკუა არა გაქვთ, მაგ სურათის გამო ქვეყანას დაისევთ თავზე (აქცენტით აჯავრებს). დიდუუ, დიდუუ, რა მიქნეს აგი... გამომჯაყეს ღუნიაზე... დიდუუ... დიდუ... რას შევესწარი ამას! (პაუზა, სულს მოითქვამს). ტაკნი-ტუკნი, ტაკნი-ტუკნი და ფულის ჯიბეში ჩაღება კარგია? მდინარეში თევზაობა გინდათ, ფეხის დასველება--არა! (ჩანთას იღებს, გასასვლელისაკენ მიემართება, ამასობაში მათა გაზეთს შლის, ფურცლავს). ვერაფრით ვერ გავხდით პროფესიონალები, სულ წივილ-კივილი, ცრემლი და სიცილი! საქმე?

მაია (შეჰკივლებს). აჰ! (გაზეთს გახევებული დააჩერდება).

ნინიკო (კართან შედგება). დიდი ამბავი! თუ შეიძლება ჟაკლინა ან ლუჩია, ფრაუ ანეტ, ან მაღამ სიუზანი გაშიშვლდნენ, მაკო ან ნატო ვითომ რა, რატომ არ შეიძლება—ქალები არ არიან?

მაია (სასოწარკვეთილი). აქ რა წერია?

ნინიკო. ეგ მაგას ჰკითხე. შენი ბოზობით უბედური მიჯნური ეტყოდა.

მაია (თინას). თიკო, რა წერია?

ღუმილი. მაია თინას მიუახლოვდება.

23.

თიკო, გაზეთში რა წერია-მეთქი!

თინა. შემეშვი, დამანებე თავი!

მაია. მითხარი, რა წერია აქ!

ნინიკო. ამ ქალის სიმფონიურ მუსიკას პაწა ნაკლოვანება აქვს და დამწებია, ნუ გეწყინებათ, შეუნდეთო.

მაია კი თინას პასუხს ელოდება.

თინა. არ ვიცი-მეთქი!

ნინიკო. გაიცინეთ, გოგოებო მაგაზე, გაიცინეთ და მორჩა! რაში გენადვლება, რას წერს შენზე ეგ იდიოტური გაზეთი, იმ რედაქციის დედა ვატირე, ვინც ბოზებს დასდევს, დაჭმუჭნე და გადააგდე!

მაია (ერთობ დამაბული ყვირის). თინა, მითხარი!

თინა. უუჰ, არ მოგასვენებს! „საქართველოდან ჩამოსული გურჯი ხათუნები განა ჩვენი ქალებივით კულაბზიკები არიან. გურჯი ხათუნი მაია მანქანაში თამამად შიშვლდება, მაშინ როდესაც ჩვენი ღამის პეპლები ასსეეტ სიამოვნებას გვაკლებენ-- არ კადრულობენ, ან თუ გაინადეს, ორჯერ-სამჯერ მეტი მიაქვთ. გაუმარჯოთ გურჯი ხათუნებს!“

ნინიკო. აჰა, მორჩა კინო, ღამის პეპელავ!

მაია. საქართველოდან ჩამოსული გურჯი ხათუნებიო... ჩვენი ბოზები ამას არ კადრულობენო...

ნინიკო. გადავუჯოკრეთ ორმოცდათორმეტ მილიონიანი ქვეყნის ბოზებს?

მაია. ნი, ჩვენ ბოზები ვართ?

ნინიკო (ღიმულით შესცქერის). რაო, რა მკითხე?

მაია. მე ბოზი ვარ?

ნინიკო (ძლიერ გაიკვირვებს). შენ? ვინ წამოროშა ეს სისულელე, შენ ის გოგო ხარ, რომლის მაგალითზეც თაობები უნდა აღიზარდნონ—უცოდველი, გამრჯე, ღამჯერე...

მაია(ლამის ყვირის) მე ბოზი ვარ?!

ნინიკო (პაუზის შემდეგ). თქვენ გგონიათ, ბოზები მხოლოდ იქ უნდა იყვნენ — სან-ფრანცისკოში, ან ნეაპოლში, ჰამბურგში, ან ათენში, მოსკოვში, რამდენიც გინდათ! თქვენ გგონიათ, ბოზები მხოლოდ იქ არიან, საქართველოდან შორს!

თინა (ყვირის). ნინიკო!

ნინიკო. არა, მაკო, შენ ბოზი არა ხარ, არც თინაა ბოზი... თქვენ გაჭირვების გამო დაწეით სხვა კაცებთან, თქვენ ვნება კი არ გაწვენთ კაცთან, ვალდებულება! ვალდებულება ცხოვრების მოწყობის, ვალდებულება გაჭირვებიდან თავის დაღწევის—მერე კი ოხრავეთ, იტანჯებით--თქვენთვის სექსი სიამოვნება კი არ არის, მოსახდელი ვალდებულებაა!

თინა. ნუ, ნინიკო, ეგრე არ იქნება... ხომ გესმის, როგორ ღრიალებს ზღვა, როგორ გვიღრენს. აი, ასე გვიღრენს ცხოვრება ეს ერთი ხანია...

ნინიკო. რამდენიმე დღეში დაბრუნდებით საქართველოში, შენ მიხვალ იმ ახალგაზრდულ თეატრში, ითამაშებ შენს როლს... თეატრში დახოცავთ სამშობლოს მტრებს, ითამაშებთ გმირებს, წმინდა ასულებს, გაწკეპლავთ ბოზებს, დაგიკრავენ ტაში, მოგართმევენ ყვავილებს და მორჩა! (თინას.) შენ ლაბორატორიაში მიხვალ, ხელში სინჯარები, კოლბები გეჭირება და ყველაფერი მალე დაგავიწყდება... მე

24.

კი წავედი, იმიტომ რომ მე პროფესიონალი ვარ—ჩემი საქმე კარგად ვიცი და მიყვარს. დედაჩემს აუტანე ყველაფერი, ბაქოში გაფრინდა ბიზნესის აწყობას აპირებს-თქო, უთხარი. (კოცნის. მაია თითქმის ატროფირებული ზის. არც ნათქვამი ესმის ნინიკოსი, არც კოცნა გაუგია. თინას უახლოვდება, კოცნის). ო, რა მისატყეპი ხარ, რომ იცოდე, რა მისატყეპი! როდის უნდა გამოვიდეთ ამ ნაჭუჭიდან... როდის უნდა დავამთავროთ კეკელკობა!

ვახო (შემოდის). გოგოებს გაუძარჯოთ! როგორა ხართ ჩემი გულის ვარდებო! ცხოვრებას ხომ არ ეძღუროთ? კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა ეძღუროდეთ, გრიალებთ და გრიალებთ, სად წამოგიყვანეთ, არა? ხო კაიფია! (მაიას.) რა გატირებს, რა მოხდა ასეთი, აგინაზღაურებ იმ ფულს თათარს რომ მიეცი და ეგ იქნება! (თინას მიუახლოვდება, თავზე ხელს გადაუსვამს.) როგორა ხარ, ლამაზო? ხო არ მოიწყინე? აქ რა მოგაწყენს! რა ცხოვრებაა, ა? (სიტუაციას გააცნობიერებს.) რას გავხართ, რა კორონავირუსით დაინფიცირებული ძელიებით იყურებით--უკმაყოფილო ხართ?

ნინიკო. როგორ გეკადრება, შენგან უკმაყოფილო ვინ იქნება!

ვახო (ნინიკოს). გამაგებინე ერთი, რა ხდება! — მაგარი უსპეხები გაქვს თათრებში, არ დაგლიჯე? უნდა გაგსინჯო, რა ხარ ამნაირი!

ნინიკო. ეგლა მაკლია, შენთან დავწვე!

ვანო (პაუზა). რას მიწუნებ, ლამაზო?

ნინიკო. ყველაფერს.

ვანო (ირონით). არ გადამრიო, აბა, კარგად დაფიქრდი!

ნინიკო. ვიფიქრე, ბევრი ვიფიქრე და დავრწმუნდი: ჩემნაირი ქალი შენნაირ კაცთან მხოლოდ ერთი პირობით შეიძლება დაწვეს...

ვანო ჰო, რა პირობით შეიძლება ჩემნაირ კაცთან შენნაირი ხელდაუკარებელი, უზადო არსება დაწვეს-- რა საინტერესოა!?

ნინიკო. ათმაგი, თუ ათმაგს დადებ...

ვანო (ვითომ ფიქრობს, ანგარიშობს). ხოო... ვიფიქრე, ბევრი ვიფიქრე და ასეთ დასკვნამდე მივედი: ჩემნაირი კაცისგან შენნაირ ხელდაუკარებელ, უზადო არსებას ის ეკუთვნის, რაც ერთ უბრალო ჩვეულებრივ ბოზანდარას,

ნინიკო. ათმაგი!

ვანო. პატივისცემის მაგიერია? ბელსა გწიე, ამხელა მაყუთს ტეხავ და ათმაგს მთხოვ?

ნინიკო. იმიტომ, რომ ჩათლახი ხარ!

ვანო (ხანგრძლივი პაუზა). ჰო? ნახეთ, რას უბერავს? ალბათ, გაგივია...

ნინიკო. არაფერი არ გამივია.

ვანო. ალბათ, გაგივია...

ნინიკო (აწყვეტინებს). არაფერი არ გამივია-მეთქი!

ვანო (მცირე პაუზის შემდეგ). მე სამჯერ ვპატიობ.

ნინიკო (აწყვეტინებს). ოცჯერაც მოგიწევს!

ვანო. შენც სამჯერ ვპატიობ, იმიტომ, რომ ყველა სტერვა იღბლიანია.

მერე მიფრთხილდი. ახლა საქმე, საქმისთვის მოვედი: არი შანსი დიდი მაყუთის მოტეხვის. თავმა მოიფიქრა, რა! (ნინიკოს რეაქცია აინტერესებს. ნინიკო,

25.

გულგრილად შესცქერის). აქ მაღაზიებს დათირავდი. ტყავის კურტკები, პლაშჩები, ღუბლიონკები! შუბები ხო არი და არი! ეს მაღაზიები ორ სართულზეა, რა!

დაბლა ყველანაირი საქონელი, მაღლა, ნარჩევი. მაღლა პატრონის სამუშაო ოთახი, ესეიგი მაგიდა, ტახტი, ხელსაბანი, დააკვირდი? ხავერაა, ნაღდი ხავერა!

ნინიკო. (ცივად) ჰო. მერე?

ვანო. ახლა იწყება კინო. კაროჩე, რა ხდება? მაღაზიაში შევდივართ მე და შენ – ცოლი და ქმარი.

ნინიკო. ეგეთ ბელს შენ მე ვერა გწივ.

ვანო. მე ხომ ყოველდამე სიზმარში გხედავ!

ნინიკო. ეგ სიზმრები მალე აგერევა!

ვანო. საქმეზე! მე მოვიკითხავ პატრონს და ვეუბნები, რომ ჩემს ცოლს უნდა კარგი კურტკა, ან ღუბლიონკა, ან პლაში, შუბა. სულერთია რა! გასაგებია, ხომ? (ნინიკო უხმოდ ზის). მერე ყველაფერი შენზეა. რას აკეთებ შენ? იწყებ თამაშს. ირჩევ კურტკას, ღუბლიონკას... ჩაიცმევ, დაიწუნებ, ჩაიცმევ, დაიწუნებ, ამასობაში მე მომართმევენ ყავას, მართობენ.

ნინიკო. რომ იცოდნენ, ვისთან აქვთ საქმე...

ვანო. მაგრამ შენ არცერთი კურტკა, პლაშჩი, ან დუბლიონკა არ მოგწონს.

ნინიკო. ჩემი დასაწუნი რა ჭირს?

ვანო. ფერი, ზომა, ვიკროიკა... ფასონი, ყველაფერს იწუნებ. ბოლოს პატრონს ხმადაბლა,ინტიმით,რო შეაბა, რა, ეუბნები, მაღლა ხომ არ ავიდეთ, იქნებ, იქ შევარჩიოთ რამეო. ადინართ მაღლა... პატრონს უნდა აგრძნობინო, რომ მე მტეხავ... უჩემოდ გინდა მასთან... მე დაბლა ვრჩები... დებილი ქმარი ვარ... შენ კი, როგორც იქნა, მასთან მართო დარჩი. იცმევ... სინჯავ კურტკას... ალერსიანად ევაჭრები... ეუბნები იმის ნახევარს, რასაც დააფასებს... ის კი იწყებს ზახოდებს. შენ ნებას დაჰყვები, კოცნამდე მიუშვებ. ამას ყველაფერს--მაღლა ასვლას, კურტკის, შუბის ჩაცმას, ზახოდების დაწყებას, ხელის ფათურს უნდა ათი წუთი. შენ არ ნებდები, ერთი-ორჯერ აკოცნიებ, მაგრამ ტახტისაკენ არ მიჰყვები. მერე შემოვდივარ მე... ვიწყებ ყვირილს, რომ ჩემს ცოლს აუპატიურებენ... მე მინდა პოლიცია, შენ კი მამშვიდებ, მთხვოვ, რომ პოლიცია არ არის საჭირო, თან გამოგყვევარ გარეთ. ასე გამოგვაქვს კურტკა, დუბლიონკა, პლაშჩი, რომელიც გაცვია.

ნინიკო. კი, მაგრამ... კი, მაგრამ... დუბლიონკას, კურტკას თუ მომცემს, რატო არ უნდა ვიკისრო?

ვანო. ჩემს ფეხებს მოგცემს. დაწოლისას გაგხდის და ბოლოს შეიძლება ჯიბეში ჩაგიდოს ოცდაათი ლოლარი.

ნინიკო. აბა, ასე როგორ შემარჩენს მაგ დუბლიონკას?

ვანო. სწორი კითხვაა! კი არ შეგარჩენს, იძულებული იქნება შეგარჩინოს. ესენი შარს ერიდებიან, კანონის ძალიან ეშინიათ, მაღაზიის პატრონს სულაც არ უნდა საქმე ჰქონდეს პოლიციასთან, თუ შენ პირზე დაადგები, გაუპატიურებას მიპირებდაო, თუ მე ერთი ამბავი ავტეხე, ჩემი ცოლი კურტკის ასარჩევად შეიყვანა და გაუპატიურება მოუნდომა-მეთქი, იცი, ეს აქ რას ნიშნავს? ამიტომ იმ კურტკას თუ დუბლიონკას, ფეხებზე დაიკიდებს. ოღონდ შეეშვი, ოღონდ წამოდი და... ა, – როგორია? (ნინიკო ფიქრობს. პასუხს არ აძლევს). როგორია-მეთქი, ხომ მაგარია!

26.

ნინიკო. არა!

ვანო. რა?

ნინიკო. არა-მეთქი!

ვანო (გალიზიანებული). რატომ, ლამაზო?!

ნინიკო. ეგ უნამუსობაა, არ ვიკადრებ!

ვანო. მაგ საქმეს შენსავით ვერავინ გააკეთებს.

ნინიკო. ვიცი.

ვანო. ცოტა, სულ ცოტა თამაში.

ნინიკო. უპატიოსნო თამაშია, ჩემს თამაშს ვარჩევ.

ვანო. შენ იცი, კარგი დუბლიონკა რა ღირს თბილისში?

ნინიკო. ვიცი.

ვანო. შუბა?

ნინიკო. აფიორაზე არ წავალ!

ვანო. ეს დიდი მაცუთია. შეიძლება დღეში ხუთი „დუბლიონკა“ დაითრიო, მეტიც!

(ნინიკო უარის ნიშნად თავს გააქნევს.) ამ ქალაქში კი არა, იქით გადავიდეთ, დღისით იქ ვიმუშაოთ, სალამოს (ირონიით) შენ რომ მშვიერი არ ღამრჩე, აქ. (ნინიკო კვლავ თავს გააქნევს, ვახოს ბრაზი ერევა.) რა პატიოსანი ბოზი ყოფილხარ!

ნინიკო. ბოზობა სწორედ ეგ არი, რასაც შენ მეუბნები! ყველამ თავისი საქმე აკეთოს.

ვახო აკეთე ის, რასაც ფული მოაქვს.

ნინიკო. პატიოსანი გზებით უნდა იარო და არა ჩათლახური!

ვახო. (ბრაზით). კარგი, მაშინ შენს საქმეს მოგცემ!

ნინიკო. გისმენ.

ვახო. დღეში მიიღებ ორმოცდაათ დოლარს. იცხოვრებ ოთხვარსკვლავიანში, იქვე იმუშავებ.

ნინიკო. გასაგებად მელაპარაკე.

ვახო. კაცია ერთი. სტამბოლში წაგიყვანს სამუშაოდ, დღეში ორმოც დოლარს გაძლევთ.

ნინიკო. რა უნდა ვაკეთო?

ვახო (ირონიით). ზღვა რომ ასე ღრიალებს, იმის წამალი უნდა გამოიგონო!

ნინიკო (ვახოს გამგმირავ მზერას მიაპყრობს). მე არ ვიცი ზღვის ლელვა როგორ ღავაცხრო.

ვახო. რაც იცი, იმაში მიიღებ ორმოც დოლარს.

ნინიკო. რაც ვიცი, იმის გაკეთება, ჩემი ნებაა და არა შენი!

ვახო. გეცოტავენბა?

ნინიკო. შენ?

ვახო. ჩემგან რა გინდა?

ნინიკო. მე რომ ათას მაიმუნთან უნდა დავწვე, შენ რამდენს აიღებ?

ვახო. ორმოცდაათი?

ნინიკო. არ მინდა!

ვახო ორი კვირის ფულს წინასწარ მიიღებ, ახლავე!

27.

ნინიკო. მე უშენოდაც მივდივარ სტამბოლში.

ვახო (აღშფოთებული). რაო?! სად მიდიხარ?!

ნინიკო. სტამბოლში.

ვახო (ჩანთას ახლავს მიაქციევს ყურადღებას. მრავალმნიშვნელოვნად). როდის აპირებ, იუზგარ!

ნინიკო. დღეს, ახლავე!

ვახო (დუმს, უნდა ვივარაუდოთ, გეგმავს, თუ როგორ მოიქცეს). ვის მიყვები?

ნინიკო. ჩემს კაცს. ისიც იცოდე, სადაცაა მოვა.

ვახო (ოთახში დააბიჯებს). გა-სა-გე-ბი-ა! ახლავე მოვა და თუ ჭკუით არ ვიქნები, კისერს მომიგრეხს, ხო?!

ნინიკო. კი, აუცილებლად!

ვახო. დამბრიდავს?

ნინიკო. ეგ იმაზეა დამოკიდებული, როგორ მოიქცევი.

ვახო (თითქმის ყვირის). და ამ ამბავს მე ახლა უნდა ვიგებდე?

ნინიკო (მშვიდად). შენ ვინ ხარ? ადრე რატომ უნდა გაგეგო?

ვახო. მე ვახო ვარ და დაიმახსოვრე: უკვე მეორედ გპატიობ.

ნინიკო. დაიმახსოვრე: სადაც მინდა, იქ წავალ და რასაც მინდა, იმას ვიზამ!

ვახო. შენ გგონია, უყვარხარ და ამიტომ გეძახის? სხვებისთვის მიყევხარ, სხვებთან უნდა გამუშაოს. (ნინიკო ირონიულად იღიმის.) იქნებ, იმას ფიქრობ, რომ ცოლად შევირთავს?

ნინიკო. ცოლობა და ქმრობა თქვენი მოგონილია!

ვახო. სტამბოლში გაგაქირავენ.

თინა. კარგით რა, ვახო, გეყოფა!

ნინიკო. მირჩვენია იმან გამაქირაოს, სული ამოგვხადე. დღეში ხუთ კაცს გვიგზავნი და რას გვაძლევ?

ვახო. იქ რას გაძლევენ, თბილისში, იქ შენთან დაწოლაში ას ლარს ვინ იხდის?

ნინიკო. შენ რამდენს იღებ?

ვახო. აქ სასეირნოდ არ ჩამოვსულვარ, იმიტომ წამოგიყვანეთ, რომ ფული ვაკეთო!.

ნინიკო. აი, მაგიტომაც მივდივარ (ჩანთას აიღებს).

ვახო წადი, მაგრამ... გინდა შენ, გინდა – იმ შენმა კაცმა ხარჯი გადამიხადეთ, შენ რა გგონია, თქვენი აქ ჩამოყვანა რა დაჯდება? სამი ბოზის ჩამოყვანას რამდენი უნდა? მე ეგ ფული მუშტაიდში კი არ დამიკრეფია! მაყუთი დაყარე და სადაც გინდა, იქ წადი!

თინა (ნინიკოს). სწორია, რას ერჩი!

ნინიკო. მე უკვე ათჯერ მეტი მოგეცი, გამატარე!

ვახო. დასდე ეგ უკანალი, თორემ მოგდე!

ნინიკო. გამატარე!

ვახო. დასდე-მეთქი!

თინა. ვახო!

ვახო (მუშტს მოუქნევს). ვის აშინებ, შენი!

ნინიკო (ვახოს მოქნეულ მუშტს აიცილენს, ჯიბიდან პისტოლეტს ამოიღებს).

ხელები მალლა, ასწიე ეგ დამპალი ხელები!

28.

ვახო. ეე, რას შერები!

თინა. ნინიკო, გაგიჟდი?!

ნინიკო. ასწიე-მეთქი, ხელები, შე დამპალი! (ვახო ხელებს ასწევს). შემოგვყარე ამ სოროში, დღეში რამდენ კაცს გვიგზავნი, ვითომ მანქანები ვიყოთ! დოლარს კი შენ იღებ ჯიბეში. კაცის მოკვლა რომ შემეძლოს, სიამოვნებით მიგაბრიდავდი, შე დამპალი. (პისტოლეტს ჯიბეში ჩაიღებს, ჩანთას დასწვდება). იცოდე, თუ ამ გოგოებს აურევ, საფლავიდან ამოგიღებ! (კარისაკენ მიემართება).

პოლიციელი (შემოდის). სალამ ალეიქუმ, ჩვენებურებო! (ყველა დაბნეული, შეშფოთებულიც კი მიუბრუნდება პოლიციელს. მხოლოდ მაია ზის გაუნძრევლად, მას არაფერი ესმის იმისა, რაც ოთახში ხდება). რა ჰაბერია, გურჯებო. ზღვა ლელვამ ხომ არ შეგაშინა? გამარჯობა!

ვახო. გამარჯობათ, მობრძანდით, დაბრძანდით!

პოლიციელი. ო, რა გურჯი ხათუნები, ო, რა გიუზელ, გიუზელ ხათუნები.

ვახო რა კარგი ქართული იცით!

პოლიციელი. მენა? მენა მემელექეთის ენა ცოტა იცოდი, ახლა იმდენი გურჯი მოდის... ისწავლე (მაგიდას მიუახლოვდება, მიუჯდება, ჯიბიდან ქალაქებს ამოიღებს, რაღაცას დაეძებს. ღიღინებს). ქაარში ოოვალაარ ქარარდიი... გურჯი მაია? (ნინიკოს). ეს ხარ გურჯი ხათუნი მაია? (ნინიკომ ვერაფერი გაიგო, კითხვის გამომხატველი მზერით მიუბრუნდება პოლიციელს). გამარჯვება გურჯისტანს, გამარჯვება ჩვენებურები!

ნინიკო (ვახოს მრავალმნიშვნელოვნად). მე წავედი ვახო ბეი! ბავშვებზე ყურადღებით იყავი. არაფერი დაუშავდეთ, ხომ იცი, დედა რა ღღეს დაგაწევს.

პოლიციელი. სიმღერა მასწავლეს. დეედაა, დეედააა, საღვარელო ჩემო დედააა!

ვახო (ნინიკოს გზას მოუჭრის). ჯერ პოლიციელ ბეის მოვუსმინოთ; ჯერ ვერსად ვერ წახვალ... ადამიანი საქმეზე მოსულა!

პოლიციელი (ნინიკოზე მიათითებს). მაია ეს?

ვახო. ასე არ შეიძლება, ერთად ჩამოვედით, ერთად უნდა წავიდეთ, ასე არ არის პოლიციელ ბეი? მარტო წასვლა იქნება?

პოლიციელი. იქნება! მაიას წასვლა, არ შეიძლება თურქიეში. წავიდეს!

ვახო რა მოხდა?

პოლიციელი. ბრძანება პოლიციის ემირი, ბრძანება არის.

ნინიკო. როგორ მიცანით?

ვახო რა... შენ?

პოლიციელი. გურჯი ხათუნი მაია ეს?

ნინიკო. აბა!

პოლიციელი. მაია წასვლა! მაია გა... გამგ... გამგზავრება!..

ვახო. ჰო, ჰო, ჰო! აბა! ამას წასვლა უნდა! აი, ჩვენ გვტოვებს, მიდის. (მანქანის სიგნალი).

პოლიციელი. მაია ახლა გამგზავრება თუ არ იქნება, ერთ საათში პოლიციაში დაჯდომა.

მაია (ადგილიდან წამოიჭრა). რა?

ნინიკო (მაიას მივარდება, კვლავ სკამზე დასვა). ეს შენი საქმე არ არის, შენ

29.

ავად ხარ... იყურე! (მანქანის გაბმული სიგნალი)

პოლიციელი (მაიას აკვირდება). პოლიციის ბრძანება... სწრაფად, ჩაბუქ, ჩაბუქ შესრულდეს!

ვახო (ნინიკოზე ათითებს დაბნეული). კი, მაგრამ ეს რა... ეს რა შუაშია?

პოლიციელი. ეს ხომ მაია?

ნინიკო (ღიმილით, მზრუნველად უსწორებს საყელოს). აბა, დაფიქრდი, ვახო, მე ხომ ისედაც მივდივარ...

ვახო (პოლიციელს). არა... კი... კი.

პოლიციელი. არა, არა, კი... კი... ვერ გაიგებს... მაია ეს თუ არა!

ვახო. რა მოხდა, რა დააშავა?

პოლიციელი. ქალაქის ბაღში შიშველი არ შეიძლება... ქალაქის ბაღში სექსი არა, აჰ! იასაქ! იასაქ! აკრძალულე! ქალაქის ბაღში გეზმექ, გეზმექ!.. სეირნობა... აჰა-აჰა იოფმექ, იოფმექ! კოცნა!

ნინიკო. ვიცი, ვიცი და მაგიტომაც მივდივარ. ხომ ასეა, ვახო? აბა, კარგად იყავი! (ჩანთას აიღებს).

პოლიციელი (ნინიკოს დაედევნება). არა, არა, არ იქნება! (ქალაღდს აჩეჩებს). დაწერა, დაწერა!

ნინიკო. დავწერო?

პოლიციელი. ჰო, ჰო, ჰო დავწერო!

ნინიკო (გაკვირვებული). რა დავწერო?

პოლიციელი. ხელი, ხელი დავწერო!

ნინიკო (მიხვდება). ხელი მოვაწერო?

პოლიციელი (გახარებული). ხელი მოვაწერო, ხელი მოვაწერო!

ნინიკო. ახლავე! გნებავთ თქვენ, გნებავთ ვახოს მაგაზე გატკენტ გულს? (ქალაღდზე ხელს მოაწერს).

პოლიციელი (ნინიკოს ხელზე ჰკოცნის). კეთილად იარ. (ქალაღდს კმაცოფილი ჩაიღებს ჯიბეში. ღიღინებს). დეედაა, დეედაა, საღვარელო ჩემო დეედაა!

ნინიკო. აი, ხომ ხედავ, ვახო, პოლიციელ ბეი მაიას ხელზე მკოცნის, ზოგიერთი ვირი კიდევ რა ამბავში იყო ხუთი წუთის წინ. (ირონიულად). ეგრე რატომ მოლუ-შულხარ? თავი ხომ არ გტკივა? თუმცა, თავი რომ გტკიოდეს, უნდა გქონდეს კიდევ! (ღიმილით). ხომ ასეა? (პოლიციელს). კეთილად დარჩით! (გადის).

პოლიციელი (პათეტიურად). კეთილად იარ!

ვახო (თითქმის თავისთვის). მოტყდა, მაინც მოტყდა! (ნინიკოს დაედევნება).

პოლიციელი (მაიას). შენ ავად არის? (მაია უმწეოდ უკრავს თავს). ილაჯი?

ილაჯი (ფიქრობს). წამალი არის?

მაია. არა... არა... კი.

პოლიციელი (დაეჭვებული). აბა... თუ ილაჯი არის... მშვიდობით იყავ! (ღიღინით გადის). დეედაა, დეედაა, საღვარელო ჩემო დეედაა!

ხანგრძლივი დუმილი.

მუეძინის ხმა. აალაჰუ აკბარ... აალაჰუ აკბარ!

მაია (გატეხილი). რა ხდება? (დუმილი.) თიკო, რა ხდება?

თინა. გაგასახლეს. **მაია**. რატომ?

პარკშიც კი იკისრო!

მაია თავს ჩაჰკიდებს. ხანგრძლივი ღუმილი. ისმის ტალღები ტალღები როგორ ეცემიან ნაპირზე.

მაია. ძალიან ცუდი გოგო ვარ? (ღუმილი.) მითხარი, თიკო, ძალიან ცუდი გოგო ვარ?

თინა (მიუახლოვდება. ეაღერსება). არა, მაკო, შენ არა ხარ ძალიან ცუდი გოგო ... ჩვენ ერთნაირად ცუდი და ერთნაირად კარგი გოგოები ვართ. ყველა ერთნაირად უბედური და ერთნაირად ბედნიერი... (პაუზა.) თუმცა, ბედნიერნი ახლა თავთავიანთ ოჯახებში არიან, ბავშვებს აძინებენ. სასაცილოა, რომ ბედნიერებას ღლეს აქ დავეძებთ... ბედნიერების მოპოვება მხოლოდ სამშობლოში შეიძლება, ჩემს სამშობლოში კი... ჩემს სამშობლოში საქმე ისე მოეწყო... იმათ, ვინც ყველაფერი ხელში ჩაიგდო... ან აქ, უცხოთა ლოგინებში უნდა თამაშობდე თავდავიწყებას, ან ამათ ბინებს დარცვავედე, ქუდავე და... სხვა გზა აღარ დაგვიტოვებს – მთავარია მოახერხო, რამენაირად უნდა მოახერხო თავდავიწყება უცხოთა ლოგინებში, ან თუნდაც თამაში თავდავიწყებისა. რა მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა მსურს მე, მომწონს თუ არა ყველაფერი ეს... ეს არავის არ აინტერესებს... უნდა ითამაშო, უნდა ითამაშო!

ვახო (შემოდის, სახეარეული მძიმედ დაეშვება სკამზე). მაინც მოტყდა, მაინც წავიდა. სულ სტამბოლში ხო არ იქნება, ერთხელაც ხო დაბრუნდება თბილისში? მე თათარი მირტყამდა, იმას კი სახეზე ღიმილი დათამაშებდა...

თინა. თათარი გირტყამდა?

მუეძინის ხმა. აალაჰუ აკბარ, აალაჰუ აკბარ...

თინა (ვახოს მიუახლოვდება, ააღერსით). გეტყვინა რამე?

ვახო. კარგით, ღამდება! დაიკრასკეთ, გელოდებიან. შენ გუშინ საღამო ისედაც გამიცდინე. სად დადინარ? დავიჯერო, ის ტიპი მოგწონს? ღროზე, ღროზე!

თინა (ნირწამხდარი). არ შემიძლია, ვახო, ძალა არა მაქვს.

ვახო. ეგეთები არ გავიგონო: საქმეს მიხედეთ-მეთქი!

თინა. არა!

ვახო (გამომწვევად). ბატონო, ბატონო!

თინა. არა-მეთქი!

ვახო. არას გაჩვენებ მე შენ! იმის ბოლმას შენზე ვიყრი!

თინა (ირონიით). მაგას შენგან არ ველოდები.

ვახო (ერთხანს უხმოდ შესცქერის). გამაგებინე, რა ხდება შენს თავს?

თინა. არ შემიძლია.

ვახო. ის თათარი... ის ქართველი... რა ჰქვია?

თინა. ფრიდონი.

ვახო. ფრიდონი! დავიჯერო ასე ქაჯია?

თინა. ყველა შენნაირი ხო არ იქნება, ვახო, შენნაირად დაუნდობელი...

ვახო. არ გინდა ახლა ბებიჩემის ღროის ამბები! რაც იყო, იყო, ის ამბავი მოკვდა, დაიმარხა. მე ძმაკაცურად გელაპარაკები... სიყვარულით...

31.

თინა. სიყვარულით შენ სამი წლის წინათ მელაპარაკებოდი, დღეს აქ მომიყვანე.

ვანო. მე არა, გაჭირვებამ მოგიყვანა. რა წააგე რომ მოგიყვანე? მითხარი – ის ტიპი სერიოზულად ფიქრობს რამეს, თუ თამაშობს? გააფრენ კაცი და ეს არის!.. რად გინდა ეს ამბავი? დავიჯერო, გინდა?

თინა (უხმოდ ჩასცქერის ვანოს თვალებში). რა კარგი ბიჭი იყავი, ვანო, რა კარგი ბიჭი!

ვანო. ჩვენ ყველანი კარგი ბიჭები ვიყავით, მანამ სანამ ქვეყანა იყო კარგი... მერე ჩვენივე ხელებით რომ დავანგრეთ, თვითონვე რომ მივღექით, მამების აშენებულს...არა, ლეკმა, არა თათარმა...არა, რუსმა, თუ ამერიკელმა-- ჩვენვე (პაუზა.) სხვა რა ვქნათ?

თინა. მზერაც რა სუფთა გქონდა მაშინ.

ვანო დავიჯერო, ასე გინდა ის თათარი? თუმცა, კაცმა რომ თქვას, არ უნდა იყოს ცუდი საქმე... თუ შენ აქ დარჩები... შეიძლება რაღაც საქმეც ააწყოს კაცმა (იღვამ გაიტაცა). უნდა აიყვანო ეგ ბიჭი, რამენაირად უნდა აიყვანო!

თინა. ვანო!

ვანო. არ უნდა მაგას ვანო და მანო! დილიდან ეგ საქმე უნდა დაამხეცო!

ახლა კი ადექით, გაემზადეთ!

პოლიციელი (მოულოდნელად შემოიჭრება. მაიას მივარდება). ბაშპორტ, ბაშპორტ! (მაია უაზროდ შეჰყურებს). ბაშპორტ! (ჯიბიდან გაზეთს ამოიღებს, გაშლის, ხან შიგ დაბეჭდილ ფოტოს დასცქერის, ხანაც--მაიას). შენ ვინ არის? შენ მაია? (ვანოს აღშფოთებული მოუტრიალდება). ტყუილი? პოლიციას ტყუილი ჰქენი?! (მაიას მკაცრად). ჰეფსანე, ახლავე ჰეფსანე!

მაია (დათრგუნვილი). რა უნდა?

პოლიციელი (ვანოს). შენ პოლიციას ტყუილი? ჯარიმა! მაია დარჩა, ბაშქა წახვიდა... ბაშქა წახვიდა (მაიას.) ჰეფსანე, ჰეფსანე, აბა!

მაია (დაძაბული წამოდგება.) რა უნდა, რა არის ეს ჰეფსანე?

ვანო. დაპატიმრებას გიპირებს-- ციხეში უნდა წაგიყვანო.

თინა (შეჰკივლებს). აჰ!

მაია **სკამზე უღონოდ დაეშვება.**

ვანო. მაცალეთ ახლა, ნუ გამიხურეთ, ეს თუ არ შეგკერე, ყველას მოგვაყუჩებს.

პოლიციელი (ხელბორკილებს ამოიღებს, გვერდით დაიდებს. თინა ხელბორკილების დანახვაზე შეჰკივლებს. პოლიციელი კალამსა და ქვითრების შეკვრასაც ამოიღებს. ჯარიმის ქვითრის შესავსებად ემზადება). ჰო, ასეა, ტყუილი იასაქ, იასაქ, შენ წახვალ ჰეფსანე! (ვანოს). შენ – ჯარიმა!

ვანო. მოიცა, მოიცა, რას შერები, ეს რა, ეგრე იქნება? ბნელა?

პოლიციელი (კალამს მაგიდაზე დადებს). გისმენს. (პაუზა). პოლიციაში წაგიყვანოს? იქ დიდი ჯარიმა!

ვანო (შეშინებული). მოიცა, მოიცა, შე კაცო! აზრზე მოვიდე, ქართველები არა ვართ?

პოლიციელი პოლიციაში! (მაიას ხელებს აუწევს და ხელბორკილებს დაადებს. მაია მორჩილია, ვერც გრძნობს. თინა ლოგინში ჩაემხობა).

ვანო. რამდენია ჯარიმა?!

პოლიციელი. ხუთასი ლირა!

32.

ვახო. მერე რა მოხდა, ჩვენ კანონს ვიცავთ, აჰა! (ფულს პოლიციელს დაუყრის). აჰა, შე კაცო, მაგის ხალხი ვართ ჩვენ? მოხსენი ამ ბავშვს ეს ბორკილები, რად უნდა, სად გარბის!

პოლიციელი. იასაქ, იასაქ!

მაია წამოდგება, გასასვლელისაკენ მიდის,
პოლიციელი გზას მოუჭრის.

საით, სად?

მაია (დაძაბუნებული, ხმაწართმეული). იქ... ახლავე... ახლავე...

პოლიციელი. ა, იქ! სულთანიც ფეხით რომ მიდის... ჩქარა... ჩქარა, ჩაბუქ!

მაია გადის

ვახო. მაგას იცი რამდენი ხალხი ელოდება?

პოლიციელი (ჯარიმის ქვითარს წერს. მაიას მისძახის). ჩაბუქ, ჩაბუქ!

ვახო. რას შობი, ეს რა არი?

პოლიციელი. კვიტო... ჯარიმა... ქიალით... ქალაღი დაიწეროს!

ვახო (ღიმილით). არ გრცხვენია? ჩვენ მაგის ხალხი ვართ? ქვითარი რად გვინდა? ფეშქეშ, ფეშქეშ! მაიას ამ საღამოს იმდენი საქმე აქვს...

თინა. ვახო!

პოლიციელი. არ იქნება. კანონი კანონია! (ქვითარს წერს).

ვახო. ე, კაცო, რად მინდა ეს ქვითარი, ვერ გაგაგებინე? შენი იყოს ეს ფული, შენი! ქვითარი არ არის საჭირო!

პოლიციელი რატომ? ფული ჩემი რატომ? ჯარიმა?

ვახო. რა რატომ?

თინა. ვახო, რას შვრები, ვახო!

ვახო. ქართველები არა ვართ? შენ ხომ ხარ ქართველი?

პოლიციელი (სიამაყით). აბა!

ვახო. ხოდა, მორჩა! ჩვენს შორის ეგ რა მოსატანია!

პოლიციელი. ვერ გავიგო (ჯარიმის ქვითარს ვახოს აწოდებს). მაია

პოლიცია მანქანა წაიყვანს.

ვახო. სადა კაცო, რატომ?

პოლიციელი. კანონი, კანონი შესრულდება.

ვახო (პოლიციელს ახლოს მიუჯდება, ჩაგონებით). ყური მიგლე, ყარდაშ, (თინას). გადი, შენ გარეთ, რას მეჩითები აქ, აივანზე გადი, მალაპარაკე კაცთან ამხანაგურად! (თინა უხმოდ გადის აივანზე. პოლიციელს). ჩვენ თუ ერთმანეთს არ გაუგებთ, სხვა ვინ გაგვიგებს. გაგვიგებს ვინმე? არა! ჩვენ აქ დიდი საქმისთვის ვართ ჩამოსული...

რა ჰქვია იმას... აი, უნდა შევისწავლოთ როგორ ლაპარაკობენ გურჯები ქართულად. მიგახვედრე, ხომ!

პოლიციელი. კი.

ვახო. აი, მაია მაგას სწავლობს... მაგისტრისაა ჩამოსული...

პოლიციელი. შიშველი? ბაღში, მანქანაში შიშველი?

33.

ვახო. რა მოხდა ახლა... გოგოა, იქნება, მოუნდა რაღაცა. გაიგე, ხო?

პოლიციელი (თავს უკრავს) კი.

ვახო. მთელი საქართველო მაგის ჩანაწერებს ელოდება. მიხვდი, ხო?

პოლიციელი. კი.

ვახო. აგაშენა ღმერთმა! ამ საღამოს ეგ ხალხს უნდა შეხვდეს, გურჯებს, უნდა ჩაიწეროს როგორ ლაპარაკობენ ქართულად, გაიგე, ხო?

პოლიციელი. კი, კი.

ვახო. ხოდა, ამის გამო... ამიტომაც... აი, ამ მიზეზით, ამ საღამოს ვერსად ვერ წავა. რას იტყვის ის ხალხი... არ იტყვიან, ეს გურჯები მატყუარები ყოფილანო? მე იმ ხალხს ვერ მოვატყუებ... რა ვქნა, ვერაფრით ვერ მოვატყუებ. გაგაგებინე, ხომ?

პოლიციელი. კი.

ვახო. ჰოდა, აგაშენა ღმერთმა! ესე იგი ამ საღამოს მაია...

პოლიციელი. კანონი? ახლავე ეფსანეში წაიყვანს.

ვახო. აბა, გავიგეო?

პოლიციელი. კანონი?

ვახო. რა კანონი, არ გადამრიო! ერთი მოტყდა, მეორეს იჭერ, მე რა ვქნა აქ... მე ისა ვარ? ამდენი ხარჯი, ამდენი შრომა... გამიგე, რა, კაცურად გეხვეწები: ორი საღამო მაჩუქე... დღეს და ხვალ. ზეგ დილას ვინც თქვენ შეგაწუხოთ... მე თვითონ წავიყვან...

პოლიციელი. არ იქნება. პოლიციამ ემირი ჰქნა, ახლავე!

ვახო. ე, ბიჭო, მომისმინე ერთი წუთი!

პოლიციელი. ისმენს, ისმენს...

ვახო. ხო ხარ შენ ქართველი კაცი!

პოლიციელი. კი.

ვახო. მერე? ერთმანეთს არ უნდა გაუგოთ?

პოლიციელი. კი.

ვახო. როგორც ქართველმა ქართველს, მაჩუქე ეს ორი საღამო მაია.

პოლიციელი. კანონი?

ვახო. ვახ, შენი! რა არი ასეთი ეგ შენი კანონი!

პოლიციელი. ოო, კანონი!

ვახო. კანონი ჩვენცა გვაქვს, მაგრამ ხალხს სულს კი არ ვხდით. ხელი ხო მოგიწერეს, ამ ქალაქიდან გავდივარო.

პოლიციელი. კი.

ვახო. მეტი რა გინდა? მიიტანე ეგ ქალაქი პოლიციაში და მორჩა!

პოლიციელი. ტყუილი? მაია აქ არის, მაია არ წადის, კანონი?

თინა (აივნიდან შემოვარდება, ყვირის) უშველეთ, მაია ზღვაში შედის!

პოლიციელი ზღვაში? (გარბის).

ვახო. ზღვაში რა უნდა ამ შობელძალღს!

თინა (ყვირის). ვახო!

ვახო. ეს რა მიყო ამ შობელძალღმა, არ გამიხდა ანა კარენინა?! (გარბის).

თინა. მაკო, მაკო, მობრუნდი, მობრუნდი!

რეჟისორის ხმა. შეჩერდით, შეჩერდით! რა არის ეს, რა ბითურობაა, ასე როგორ შეიძლება!

34.

პოლიციელის შემსრულებელი. რა მოხდა?

ვახოს შემსრულებელი. რამე შეგვეშალა?

რეჟისორი (შემოდის.). ესეიგი რა გამოდის: მათა ახლად, ამდენი ხნის მერე მიხვდა, რა გზაზეც დგას და ზღვაში თავს იხრჩობს, არა?

თინას შემსრულებელი (ირონიული ღიმილით). ეს არის ქეთუშას დიდად დახვეწილი გემოვნება, იმისგან მოდის ყველაფერი!

პოლიციელის შემსრულებელი (რეჟისორს). ჰოო... ეგ რომ ბითურობაა, პირველსავე რეპეტიციაზე ითქვა, მაგრამ...

ვახოს შემსრულებელი. ღმერთმანი, მე არ დამიწერია.

თინას შემსრულებელი (რეჟისორს). ბატონო გიორგი, ადრე ვთქვი და ვიმეორებ: დღეს ასე არ არის...ათი, ოცი წლის წინათ, შესაძლოა იყო ასე, მაგრამ დღეს...მაყურებელი სიცილს მორთავს...

რეჟისორი. დაგვცინებენ, კი...ხო, მაცალეთ ერთი წუთი! (ფიქრობს.) ადამიანებს სხვა ღირებულებები დაეუფლათ... დაიმონა...ჰო, არა, საზოგადოებაზე ამ გზით ზემოქმედება, არ გამოვა...არ გამოვა, მაგრამ...

თინა. გავბითურდებით...განსაკუთრებით თქვენ...

რეჟისორი. მით უარესი მათთვის... ამიტომ ის აჯობებს, დავანახოთ თავისი სახე— ადამიანებმა დაჰკარგეს თანაგრძნობის, თანაგანცდის ნიჭი...

ვახოს შემსრულებელი. ნუ... ეგ, როგორ გითხრათ... ვგონებ, საკამათო აზრია... არაერთხელ დადასტურდა, რომ გასაჭირისას ადამიანებს შეუძლიათ გაერთიანება, ერთმანეთის გვერდში დგომა, მხარდაჭერა, ტკივილის გაზიარება...

რეჟისორი. როგორ, როგორა თქვი?

პოლიციელის შემსრულებელი. სწორს ამბობს: არაერთმა გასაჭირმა დაადასტურა, რომ...

რეჟისორი (აწყვეტინებს). ეგ ხომ ცხოველური შიშია და მეტი არაფერი! საფრთხის მოახლოებისას, ცხოველებს ჩვევით გაერთიანება. ადამიანი? ადამიანი ცხოველისაგან განსხვავდება (გაჩუმდება. ფიქრი გაიტაცებს.) კი, ასეა: აჯობებს, ვაჩვენოთ დღეს რა სახეს ღებულობს, საით მიდის და გავალიზიანოთ, იქნებ, გადავაჭარბოთ-- გავაბრაზოთ კიდევ...

პოლიციელის შემსრულებელი. და რაც უფრო მეტად გავაბრაზებთ, რაც უფრო მტკივნეული იქნება ღარტყმა, მით უფრო...

თინას შემსრულებელი. ქეთუშა? ქეთუშა რას...

რეჟისორი (აწყვეტინებს). რა, ქეთუშას რა?

თინას შემსრულებელი (თქმა გადაიფიქრა). არა, არაფერი.. ისე...

რეჟისორი. ქეთუმა ახლა გვაჩვენებს თავის ნიჭიერებას—ითამაშებს სრულიად განსხვავებულ პერსონაჟს—ერთ სპექტაკლში ორ, საპირისპირო ხასიათს შექმნის (კულისებშიალერსით გასძახის) ქეთუსი, სად ხარ?

თინას შემსრულებელი. ჰო, კი... (თუმცა, მისი გამომეტყველება სულ სხვა მოსაზრებაზე—უარყოფაზე-- მეტყველებს).

მაიას შემსრულებლის ხმა. (კულისებიდა). აქა ვარ!

რეჟისორი (მსახიობებს). არ დაიშალოთ! (გადის).

თინას შემსრულებელი. ხომ ვამბობდი, თავად მიხვდება-მეთქი. როგორც იქნა,

35.

მოვიდა აზრზე. მხოლოდ ქეთუმას რო უგდებდეს ყურს და სხვების აზრსაც უწევდეს ანგარიში... არ აწყენდა!

პოლიციელის შემსრულებელი. შეეშვი, არ იყო ეგეთი, ავარიის მერე...

თინას შემსრულებელი. კარგი რა, ავარია რა შუაშია, რაც ცოლს გაეყარა და ქეთუმასთან...

ვახოს შემსრულებელი. ქეთუმამ ძალა გამოაცალა, ეს კიდე უკვე... ასაკი,, ძმაო, ასაკი! კაი ხანია, ბიჭი აღარ არი!

ვახოს შემსრულებელი (წამოდგება, გასვლას აპირებს) გავიდეთ, გავაბოლოთ?

ასისტენტის ხმა. ჯერ ერთი, გითხრეს, არ დაიშალოთო, მეორეც ბელზებელმა გადმორეკა...

ვახოს შემსრულებელი (აყვირდება). რას დაგვჩხავი თავზე! მაგ ბელბულზე, თუ ვიდაც ოხერზე ლაპარაკს, გერჩია, ქმრისთვის მიგეხედა!

რეჟისორის ხმა. სად ხართ, განვაგრძოთ სცენა!

ასისტენტის ხმა. რა გითხარით მე, ყურადღება, განვაგრძობთ საფინანსო სცენას!

შემოდის მაია. იგი აღარ არის უმწეო, დათრგუნული გოგონა—ვხედავთ სრულიად გარდაქმნილ, თავის თავში დარწმუნებულ, ერთობ მოღურად ჩაცმულ ახალგაზრდა საქმიან ქალს. საუბრის ინტონაციაც სრულიად განსხვავებული აქვს—მშრალი, კატეგორიული.

მაია (პოლიციელს). გისმენთ, პოლიციელ ბეი, რაღაცას მეუბნებოდით, თუ არ ვცდები, მემუქრებოდით კიდეც!

პოლიციელის შემსრულებელი უმწეოდ მიმოიხედავს.

რეჟისორის ხმა. შენთან არაფერი არ შეცვლილა—იგივე ამოცანა გაქვს, იგივე ტექსტით იმუშავე!

პოლიციელი (მრისხანედ). ჰეფსანე, ჰეფსანე! აბა, წავედით!

მაია (თინას ფურცელს აწოდებს). წაიკითხთ და პოლიციელ ეფენდის მოახსენეთ, რა ღლეც მოელის!

თინა (ქალაღმოსავლელის, კითხულობს, თავს ასწევს, ჯერ მაიას გადახედავს, მერე პოლიციელს). ეს არის საჩივარი: ახალგაზრდა მეცნიერი მაია სასამართლოში

გიჩივით: გაუპატიურებას უპირებდით, გეწადათ, ნამუსი აგეხადათ სამეცნიერო მივლინებით ჩამოსული ქალბატონისათვის.

პოლიციელი. რა სისულელეა, საიდან სადაო!

თინა (ფურცელს ისევ გაშლის, ჩახედავს). ბრალდებას ადასტურებენ სამეცნიერო მივლინების ხელმძღვანელი ბ-ნი ვახტანგ...

ვახო. მე? (გონს მოეგება.) დიახ, დიახ, რომ შემოვედი, ბატონი პოლიციელი სამეცნიერო მივლინებით ჩამოსულ ახალგაზრდა ქალზე ძალადობდა—ეწადა ეს მშვენიერი სამოსი გაეხადა...

მაია. ასე რომ თქვენ ბრალი გედებათ სექსუალურ ძალადობაში...

ვახო. სწორედ ისე იქცეოდით, როგორც ამერიკელი მილიარდერი კინოპროდუსერი ჰარვი ვაინშტეინი, რომელსაც ამის გამო 17 წლის პატიმრობა შეეფარდა!

პოლიციელი (იცინის). ამას არავინ დაგიჯერებთ!

ვახო. ჩვენ მეორე მოწმეც გვყავს. ასევე სამეცნიერო მივლინებით ჩამოსული...

36.

თინა. მე მხოლოდ ის დავინახე, ბატონი პოლიციელი რომ ცდილობდა, კაბა შემოეხია პერსპექტიული ახალგაზრდა მეცნიერისათვის (ვახოს) მაგრამ თქვენ ცდებით, როცა ამბობთ, იმ ამერიკელ კინოპროდუსერს—ჰარვი ვაინშტეინს ქალზე ძალადობისათვის 17 წელი შეეფარდაო. 15 წელი, მეტი არა!

ვახო. მაგით რა გინდათ მითხრათ—ბატონ პოლიციელს 15 წელზე მეტი არ ემუქრება?

პოლიციელი. მმ... ეე... (რალაცას ჩაილაპარაკებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ მყოფთ შეაგინებს და გარბის).

ვახო. ესეც ასე, მოტყდა. კი არ წავიდა, მოტყდა!

მაია. დიახ, ეს კი იმას ნიშნავს, როცა საკითხს რაციონალურად მივუდგებით, წარმატებაც არ დააყოვნებს..

ვახო. ახლა კი თქვენს საქმეს მიხედეთ, დაიკრასკეთ, გოგოებო, სადაცაა დადამდება, გელოდებიან!..

მაია (გაფრთხილების ინტონაციით). ერთის წუთით, ეგრე არ იქნება!

ვახო. დროზე...ხო, რა იყო?

მაია. მოახლოება აუცილებელი არ არის... მანდ დადექით. დრო შეიცვალა, ბატონო ვახტანგ, ეს კი იმას ნიშნავს, არ შეიძლება ისე იყოს, როგორც იყო გუშინ. ჩვენი პროფესია მეტ პატივისცემას იმსახურებს... ვინც ეს არ იცის, შევეცდებით გავაგებინოთ.

ვახო. რა ამბავია, რა ხდება!

მაია. საჭიროა საკითხის ღრმა ანალიზი...უნდა მოვილაპარაკოთ. თუმცა, აქ მოსალაპარაკებელიც არაფერია: დღეიდან თითო სეანსი—ასი დოლარია, ან ასე იქნება, ან ჩვენ სხვა გზას მოვნახავთ...ათასი საშუალება არსებობს.

ვახო. ეეე, თქვენ...!

ფრიდონი (შემოდის) თინათინ, თინათინ! სადა ხარ, თინათინ!

თინა აფრიღუნი მოვიდა, ამას რა ვუყოთ?

ფრიღონი. ჩემთან, ჩემთან თინათინ!

მაია. მოვიდეს, მოვიდეს, იქნებ, ეგეც გამოგვადგეს რამეში!

ფარდა.